გაზეთი ზევრისა, „ვერსიის“ ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№76 (971) 16 - 17 ივლისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მაია ფურცელაძე და გაზეთი „ვერსია“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს

# მკვლელობა თუ თვითმკვლელობა?!



## რა მოხდა ყიფშიძის 13-ში

გვ. 3-4

## დრამა და ფარსი „რუსთავი 2“-ში

ტელევიზიის „დავერბოვკების“ უცვლელი სქემა



ექსკლუზივი

„2001 წელს არხის შენობაში შექრამ ნახევარი მთავრობა გადაიყოლა, დღეს არავინ არაფერს გადაყვება და რევოლუციასაც ვერავინ მოახდენს!“

## ეროსი კიწმარიშვილის უკანასკნელი ინტერვიუ „ვერსიაში“

თიბისი ბანკი
TBC BANK

## 2014 წლის საუკეთესო ბანკად დასახელდა საქართველოში

## SmartPAY – ლიბერთი ბანკის ახალი შეთავაზება

15 ივლისიდან, ბანკის მომხმარებლები 250-ლარიან სესხს მობილური ტელეფონით მიიღებენ

## ელჩზე მეტი



(ციკლიდან „დროის იეროგლიფები“)

## ოქროს კონტრაბანდას შეწირულები

პატიმრის დღიური

## „ივერიაბეთმა“ გათამაშების გამარჯვებულებს „პორშე მაკანი“ და სხვა სოლიდური პრიზები გადასცა

# გიორგი ოვაშვილი სამშობლოში ბროლის გლობუსით დაბრუნდა



კარლოვი ვარის 49-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე ქართული კინო წელს პირველად მოხვდა მთავარ საკონკურსო პროგრამაში. გიორგი ოვაშვილის „სიმინდის კუნძულის“ მსოფლიო პრემიერა ფესტივალის ფარგლებში 9 ივლისს მოეწყო და 12 ივლისს ფესტივალის დასკვნით ცერემონიაზე მთავარი ჯილდო „ბროლის გლობუსი“ გადაეცა.

კარლოვი ვარის ფესტივალი მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს და ყველაზე პრესტიჟულ კინოპლატფორმას წარმოადგენს. ფესტივალი სათავეს 1946 წლიდან იღებს და უკვე 49 წელია სხვადასხვა კატეგორიაში საუკეთესო ფილმებს ავლენს.

ფესტივალს ყოველწლიურად სტუმრობენ ცნობილი ადამიანები. წელს კარლოვი ვარს საპატიო სტუმარის სტატუსით მელ გიბსონი ეწვია, რომელსაც კინოში შეტანილი უდიდესი წვლილისათვის ჯილდო გადაეცა. ფესტივალს ასევე დაესწრო გამოჩენილი ფრანგი მსახიობი ფანი არდანი, რომელიც უკვე მესამედ წარდგა რეჟისორის ამპლუაში და ახალი ფილმი Obsessive Rhythms წარმოადგინა. ფესტივალის ერთ-ერთი სპეციალური სტუმარი იყო ცნობილი ამერიკელი მსახიობი, რეჟისორი და პროდიუსერი ლაურა დერნიც, რომელმაც დამსწრე საზოგადოებისათვის დევიდ ლინჩის საკულტო ფილმი Wild at heart წარმოადგინა.

წლების განმავლობაში ფესტივალს სტუმრობდნენ კინოინდუსტრიის ისეთი ცნობილი წარმომადგენლები როგორიც არიან: ბერნარდო ბერტოლუჩი, ჯულიეტა მაზინა, მონიკა ვიტი, დენი დე ვიტო, რობერტ დე ნირო, ფანი არდანი, ოლივერ სტოუნი, ჯონ ტრავოლტა...

ყოველწლიურად კარლოვი ვარის ფესტივალს 850-მდე დისტრიბუტორი, გაყიდვების მენეჯერი თუ პროდიუსერი ესწრება, 700-მდე ჟურნალისტი სპეციალურად ამ ღონისძიების გასაშუქებლად ჩადის ჩეხეთში, ასობით რეჟისორი, მსახიობი თუ პროდიუსერი პირადად წარადგენენ საკუთარ ნამუშევრებს დამსწრე საზოგადოების წინაშე, ყოველწლიურად იყიდება 120 000 ბილეთი. ფესტივალი რამდენიმე სექციისგან შედგება, სადაც ყოველწლიურად წარმოდგენილია განსაკუთრებული სიფრთხილით შერჩეული 200 ნამუშევარი მთელი მსოფლიოდან, იმართება 70 მათგანის მსოფლიო პრემიერა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მთავარ საკონკურსო სექციას, სადაც უახლესი ფილმების პირველი ჩვენება იმართება. სექცია ასტ ოფ ტჰე ჭესტ-ჩომპეტიტონ წარმოადგენს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ბალკანეთის, თურქეთის და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მხატვრულ ფილმებს. საინფრომაციო პროგრამებში წარმოდგენილია საუკეთესო თანამედროვე კინემატოგრაფიის ნიმუშები. ფესტივალი მოიცავს კიდევ ორ საკონკურსო სექციას Forum of Independence-Competiotion (დამოუკიდებლობის ფორუმი-კონკურსი) და Documentary Films - Competition (დოკუმენტური ფილმების კონკურსი). ფესტივალის ფარგლებში იმართება უამრავი შეხვედრა და მასტერკლასი რეჟისორებთან, მსახიობებთან, პროდიუსერებთან.

კარლოვი ვარის ფესტივალის კონცეფცია გამომდინარეობს ჩეხეთის რესპუბლიკის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან, რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის გზაჯვარედინს წარმოადგენს.

*„პირველი“*

# „ივერიაბეთმა“ გათამაშების გამარჯვებულებს „პორშე მაკანი“ და სხვა სოლიდური პრიზები გადასცა




ინტერნეტტოტალიზატორმა „ივერიაბეთმა“ წამახალისებელ გათამაშებაში გამარჯვებულები დააჯილდოვა. პრიზების გადაცემის ცერემონია „ივერიაბეთის“ ტოტალიზატორში, რუსთაველის 31/13-ში გაიმართა.

„ივერიაბეთის“ გათამაშების ყველაზე იღბლიან გამარჯვებულს, ნიკა კაკოიშვილს 100 000 ევრომდე ღირებულების პორშეს უახლესი მოდელი ავტომობილის — მაკან ტურბოს გასაღები საზეიმო ვითარებაში გადაეცა.

**„ივერიაბეთის გათამაშების შესახებ მეგობრისგან შევიტყვე, იმედი მქონდა, რომ რაიმე პრიზს მაინც მოვიგებდი, რადგან საკმაო რაოდენობის ბილეთები დავაგროვე. დღევანდელი დღე ჩემთვის ძალიან განსაკუთრებული და ემოციურია“,** — განაცხადა მანქანის მფლობელმა ნიკა კაკოიშვილმა.

მთავარი პრიზის გარდა, იღბლიან მოთამაშეებს სხვა სოლიდური საჩუქრები გადასცეს: 10-დღიანი საგზური მალდივის კუნძულებზე (5 ვარსკვლავიან სასტუმროში ორ პიროვნებაზე) და უზარმაზარი 140 სმ ეკრანიანი 3Dტელევიზორი „სამსუნგის“ ახალი მოდელის კინოთეატრთან ერთად. ასევე სამი ცალი 1-კვირიანი საგზური ბათუმის „რადისონში“ (2 პიროვნებაზე), სამი ცალი Ipad air 4G და სამი ცალი Samsung S5.

**„ეს არის ინტერნეტ ტოტალიზატორ „ივერიაბეთის“ პირველი გათამაშება. ვულოცავ ჩვენს იღბლიან გამარჯვებულებს და წარმატებას ვუსურვებ. გპირდებით, „ივერიაბეთი“ მომხმარებელს მსგავს გათამაშებებს და კონკურსებს სისტემატურად შესთავაზებს“,** — განაცხადა „ივერიაბეთის“ მარკეტინგის მენეჯერმა თათუკა ჯავახიშვილმა.

„ივერიაბეთის“ გათამაშება 15 ივნისს დაიწყო და 5 ივლისს დასრულდა. ხოლო გამარჯვებულები, პირველი არხის პირდაპირ ეთერში, 13 ივლისს, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის დაწყების წინ გამოვლინდნენ. სპეციალურ დოლურაში მოთავსებული ნახევარ მილიონამდე ბილეთიდან, 12 ბილეთი მომგებიანი იყო. გრანდიოზული გათამაშების გარდა, „ივერიაბეთის“ Facebook გვერდზე, მუდმივად იმართება მინიკონკურსები. მაგალითად, 13 ივლისს ასევე გამოვლინდა Iveriabet FanApp konkursis გამარჯვებული, რომელიც მიიღებს 5,000 ლარს „ივერიაბეთისგან“. ასევე, მოთამაშეებს შესაძლებლობა აქვთ, შექმნან საკუთარი ფსონები და იხილონ ისინი კომპანიის ვებ-გვერდზე.

სპორტული ინტერნეტტოტალიზატორი ივერიაბეთი, „სამორინე ივერიას“ ახალი ინტერნეტპროექტია. ვებ-გვერდი iveriabet.com ოფიციალურად 2014 წლის 5 ივნისს გაიხსნა და ბაზარზე წარმატებით და აქტიურად ვითარდება.



# ქართველმა სპორტსმენმა პოლიციელებმა ევროპის პოლიციელთა და მეხანძრეთა სპორტული თამაშების პირველივე დღეს 10 მედალი მოიპოვეს

ევროპის პოლიციელთა და მეხანძრეთა სპორტულმა თამაშებმა სტარტი ძიუდოთი აიღო 14 ივლისს, ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში. ქართველმა სპორტსმენმა პოლიციელებმა ასპარეზობის პირველივე დღეს სხვადასხვა წონით კატეგორიაში ათი: 2 ოქროს, 6 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

შსს-ს სხვადასხვა დანაყოფის წარმომადგენლებმა ევროპის პოლიციელთა და მეხანძრეთა ჩემპიონატში წარმატებით იასპარეზეს. უშანგი კუზანაშვილმა 66 კგ წონით კატეგორიაში ფინალურ ორთაბრძოლაში რუსი სპორტსმენი დაამარცხა და ოქროს მედალს დაეუფლა. რაც შეეხება 73 კგ წონით კატეგორიას, აქ გამარჯვება მიხეილ ხომიზურმა მოიპოვა, რომელმაც დაძაბული ფინალური შეხვედრა რუს ძიუდოისტთან გამარჯვებით დაასრულა და ოქროს მედალოსანი გახდა. ხოლო მძიმე წონით კატეგორიაში (+100 კგ) ზვიად ჩინჩალაძემ თავის ასაკობრივ ჯგუფში 30-დან 39 წლამდე და ასევე საერთო ასაკობრივ ჯგუფში ორი ვერცხლის მედალი მოიპოვა. 100 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე გიორგი ბოლოთაშვილმა ორი დაძაბული ორთაბრძოლა ჩაატარა და ვერცხლის მედალი მიიღო. 81 კგ წონით კატეგორიაში ნოდარ მჭედლიშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა. გელა ბარათაშვილმა, 30-დან 39 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, 60 კგ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი, ხოლო საერთო ასაკობრივ ჯგუფში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 90 კგ წონით კატეგორიაში თორნიკე გვენეტაძემ თავის ასაკობრივ ჯგუფში – 21-დან 29 წლამდე, ვერცხლის, ხოლო საერთო ასაკობრივ ჯგუფში ბრინჯაოს მედალი აიღო.

ქართველი სპორტსმენი პოლიციელები განაგრძობენ პოლიციელთა და მეხანძრეთა ევროპის სპორტულ თამაშებზე ასპარეზობას.

*„ვერსიანიუსი“*

# თბილისიდან მესტიის მიმართულებით ავიარეისები დაინიშნება

რეისის თბილისი-მესტია-თბილისი ამოქმედების შესახებ ნატახტარის აეროდრომზე უკვე ოფიციალურად გაცხადდა. ღონისძიებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ვიცე-პრემიერი, ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ. ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, თბილისიდან მესტიის მიმართულებით ავიარეისები მნიშვნელოვან და სასარგებლო როლს ასრულებს ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტებისათვის.

ავიარეისები თბილისიდან მესტიამდე საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრობის ხანგრძლივობას — 7-8 საათს, 45 წუთამდე შეამცირებს.

პირველი რეისი მესტიის მიმართულებით 18 ივლისს შესრულდება. რეისები კვირაში სამჯერ: ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს განხორციელდება. გაფრენა 11:00 საათზე იქნება, გამოფრენა კი — 14:00 საათზე, ბილეთის ღირებულება 65 ლარი (ერთი მიმართულებით) იქნება.

ფრენებს ქართული ავიაკომპანია „სერვისეირი“ შეასრულებს, რომელმაც საქართველოს აეროპორტების გაერთიანების მიერ გამოცხადებული ტენდერი მოიგო და რეისებს ახალი, ჩეხური 15-ადგილიანი თვითმფრინავებით განახორციელებს.

სახელმწიფოს 3 წლის განმავლობაში განსაზღვრული აქვს ლიმიტირებული სუბსიდიით ავიაფრენების წახალისება, რათა კომპანიამ შეძლოს კონკურენტული ფასებით მეტი რეისის განხორციელება და რაც მთავარია ფრენა ზამთრის პერიოდში.

მსურველებს ბილეთების შეძენა შეეძლებათ „ვანილა სქაის“ სალაროებში ნატახტარის აეროდრომზე და თბილისში: ბამბის რიგი 11; მესტიაში კი ბილეთები გაიყიდება მესტიის აეროპორტის სალაროებში.

საქართველოს პრემიერის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ნატახტარი-მესტიის ავიარეისის არსებობა ტურისტების მოტივაციას გაზრდის: **„განსაზღვრული გვაქვს 3 წლის განმავლობაში ლიმიტირებული სუბსიდიით წავახალისოთ ავიარეისები, რათა კომპანიამ შეძლოს კონკურენტული ფასებით რაც შეიძლება მეტი რეისის შესრულება და რაც ყველაზე მთავარია, შეძლოს ზამთარში ფრენა“.**

*„ინტერპრესნიუსი“*

# თვითმკვლელობა თუ მკვლელობა?!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**15 ივლისს, საღამოს ეროსი კიწმარიშვილის ცხედარი ვაკეში, საკუთარ საცხოვრებელ სახლთან, ავტოფარეხში დაცვის უფროსმა იპოვა. გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო, რაც ადამიანის თვითმკვლელობამდე მიყვანას ითვალისწინებს. ხელისუფლებაცა და სამართალდამცავებიც, რომელთაც ეს საქმე უკვე გადააბარეს პროკურატურას, მკვლელობას მიზანმიმართულად არ ახსენებენ და მხოლოდ თვითმკვლელობის ვერსიაზე საუბრობენ, თუმცა ყველა ადამიანის პირველი და გულწრფელი რეაქცია, ვინც ეროსი კიწმარიშვილს ერთხელ მაინც შეხვედრია, ასეთი იყო — ეროსი თავს არ მოიკლავდა! ასეცაა, ეროსი კიწმარიშვილი, ყველა იმ სფეროსა თუ საქმეში წარმატებული ადამიანი, რასაც ხელი მოჰკიდა, სიცოცხლეს თვითმკვლელობით არ დაასრულებდა! ასე რომ, არაა გამორიცხული, ცოტა ხანში, გამოძიებას უფრო რეალური ვარაუდის გამოთქმა, თვითმკვლელობის მუხლის შეცვლა და შეკვეთილ მკვლელობად გადაკვალიფიცირება მოუხდეს. მით უმეტეს, ეროსი კიწმარიშვილის „თვითმკვლელობაც“ ისეთივე თეთრი ძაფითაა ნაკერი, როგორც ზურაბ ჟვანიას გაზით გაგუდვა! ბოლო, ვინც ეროსი კიწმარიშვილს ესაუბრა, რეგიონული ტელეკომპანია „თრიალეთის“ გენერალური დირექტორი ბადრი ნანეტაშვილია, რომლის განცხადებით, კიწმარიშვილი ახალი ტელევიზიის გახსნის შესახებ უამბობდა და არასამთავრობო სექტორიდან გააქტიურებას აანონსებდა. საკუთარ გეგმებზე საუბარს ეროსი კიწმარიშვილი „ვერსიასთანაც“ აპირებდა და, როგორც ორი დღის წინ სატელეფონო საუბარში გვითხრა, ეს ინტერვიუ მომავალ კვირაში უნდა შემდგარიყო. კიწმარიშვილმა ისიც დასძინა, რომ ჰქონდა დოკუმენტები, რომლითაც რუსთავში არჩევნების გაყალბების მექანიზმს ამხელდა და ათასობით ამომრჩევლის გაყალბებულ სახელსა და გვარს, სიის სახით გადმოგვცემდა. რადგან მისი ყველა ახლობელი, ნათესავი, კოლეგა, მეგობარი თუ მეზობელი თვითმკვლელობის ვერსიას კატეგორიულად გამორიცხავს, თავს უფლებას მივცემთ, ამაზე არც ჩვენ ვისაუბროთ. მხოლოდ, ქრონოლოგიურად გავიხსენებთ კიწმარიშვილის სკანდალურ და, როგორც წესი, წარმატებულ მოღვაწეობას, რომლის დროსაც, როგორც წინა, ისე ახლანდელი ხელისუფლების მაღალ ეშელონებში არაერთი მტერი გაიჩინა. არაა გამორიცხული, სწორედ ამ მოღვაწეობის რომელიმე ეპიზოდს უკავშირდებოდეს მისი სავარაუდო მკვლელობაც.**



ეროსი კიწმარიშვილი საკუთარ ავტოფარეხში გარდაცვლილი იპოვეს

1993 წელს ეროსი კიწმარიშვილმა, პარტნიორებთან — დავით დვალსა და ჯარჯი აქიმიძესთან ერთად, შპს „გამა+“ დააარსა, რომლის ბაზაზეც ბრენდადქცეული ტელევიზია, „რუსთავი 2“ შეიქმნა. იგი 1994-დან 2004 წლამდე, ვიდრე „რუსთავი 2“-“ში წილებს გაასხვისებდა, უფრო სწორად, გაასხვისებინებდნენ, არხის გენერალური დირექტორი იყო. მაშინ კიწმარიშვილს ედუარდ შევარდნაძის მთავრობის არაერთი მაღალჩინოსანი ემუქრებოდა, რაც საბოლოოდ, შევარდნაძის წასვლით, მანამდე მინისტრების მოხსნითა და „ვარდების რევოლუციით“ დასრულდა, რაშიც ლომის წილი სწორედ „რუსთავი 2“-ს მიუძღვის. ამ 8-წლიანი პერიოდის განმავლობაში, რაც ალბათ, „რუსთავი 2“-ის ოქროს ხანა იყო, კიწმარიშვილმა არაერთი მუქარა მიიღო და მტრებიც გაიჩინა. 2004 წელს, კიწმარიშვილი საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელიც იყო და ძალიან ცოტა ხნით, საზოგადოებრივ მაუწყებელზე კონსულტანტადაც მუშაობდა. მის ბიორგაფიაში მნიშვნელოვანი შტრიხია 2007 წელი და 2008 წლის იანვარი, როდესაც პირადად პრეზიდენტ სააკაშვილის „პიარშიკი“ იყო და სააკაშვილის საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის სტრატეგიას ოფიციალურად ხელმძღვანელობდა. არჩევნებიდან სულ რამდენიმე თვეში კიწმარიშვილს ნაციონალურ მოძრაობასთან ურთიერთობა საბოლოოდ გაუფუჭდა და იგი რუსეთის სრულუფლებიან ელჩად გაუშვეს. საინტერესოა ის ინფორმაციები და კონტაქტები, რაც ეროსი კიწმარიშვილს ელჩად ყოფნის პერიოდში დაუგროვდა. იგი ამ პოსტზე დაახლოებით ერთი წელი იყო. 2010 წელს, როცა კიწმარიშვილი ქვეყანაში დაბრუნდა, მან ძმებ „გრეჩიხებთან“, გუშინ გამინისტრებულ სოზარ სუბართან, კოკა გუნცაძესა და ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად „ქართული პარტია“ დააარსა და ახალი რევოლუცია დააანონსა. ზუსტად ამ პერიოდში, მკვდრადშობილი „ქართული პარტიის“ შექმნის პარალელურად, მან ხელი კიდევ ერთ მკვდარ პროექტს მოკიდა და ტელეკომპანია „მაესტრო“ ლაზარესავით გააცოცხლა, როგორც თავად მიყვებოდა ინტერვიუში. ცოტა ხანში, კიწმარიშვილი პარტიაშიც გადაადეს და „მაესტროზეც“, რადგან ასპარეზზე ახალი, ძლიერი მოთამაშე ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა. როგორც „მაესტროს“ შენობაში, მეორე სართულზე, მხარდამჭერებთან ერთად გამაგრებული კიწმარიშვილი მიამბობდა, იგი მამუკა ღლონტმა „გადააგდო“, მას არც კუთვნილი მილიონები გადაუხადა, რაც კიწმარიშვილმა „მაესტროში“ საკუთარი ჯიბიდან ჩადო და ბიძინა ივანიშვილს მიეყიდა. არც ბიძინა ივანიშვილი მალავდა ანტიპათიას კიწმარიშვილის მიმართ, გამოჩენის დღიდან მისი პოზიცია იყო — ყველა, მინუს ეროსი და მან „მაესტროსა“ და „კავკასიას“ საჯაროდაც შესთავაზა, არხებს ვიყიდი, გავაძლიერებ და უკან სიმბოლურ ფასად, ლარად მოგყიდითო. მაშინ გაირკვა, რომ „უცნობმა“ ანუ გია გაჩეჩილაძემ „მაესტროს“ წილი მოსკოვში მცხოვრებ ბიზნესმენს, მაკა ასათიანის ქმარს, კოტე გოგელიას გადასცა მართვაში. თუმცა, ამას „მაესტროელები“ კარგა ხანს უარყოფდნენ. პარალელურად, „ქართულ პარტიაში“ მოვლენები ძალიან საინტერესოდ განვითარდა. ირაკლი ოქრუაშვილი ქვეყნიდან წავიდა, კოკა გუნცაძე ხელისუფლებას კარგად „შეეთავსა“ და რკინიგზის შეფად წავიდა, ციხეების შეფი გახდა სოზარ სუბარი, ძმები გაჩეჩილაძეები კი უბრალოდ აორთქლდნენ, თუმცა ჭორი დადიოდა, ამ „აორთქლებაში“ დიდძალი ფულიც აიღესო. ასე შერჩა ხელში ივანიშვილს მარტო კიწმარიშვილი და „ოცნების“ მხარდამჭერთა ლანძღვის ობიექტადაც იქცა. მას ამ დრომდე ორი მიმდინარე პროცესი აქვს სასამართლოში — „რუსთავი 2“-ის წილებთან და „მაესტროს“ მიერ კონტრაქტით გათვალისწინებული ფულის დაბრუნებასთან დაკავშირებით. კიწმარიშვილი არც ამის მერე დანებებულა — 2014 წელს მან რუსთავის მერის პოსტზე კენჭი იყარა, პირველ ტურში ვერ გავიდა და მეორე ტურში ისევ საოცარი შოუ დადგა — ნაციონალი კანდიდატის სასარგებლოდ, რუსთავის მთელი ოპოზიციის მობილიზება მოახდინა და ყველას „ოცნების“ წინააღმდეგ ხმის მიცემისკენ მოუწოდა. ბოლო დღეებში, კიწმარიშვილი „ოცნების“ მხარდამჭერების მხრიდან ლანძღვის საგანი სწორედ ამის გამო გახდა. ჩვენც სწორედ ამ თემებზე უნდა ჩაგვეწერა მასთან ინტერვიუ და მომავალ გეგმებზე გვესაუბრა. თუმცა გთავაზობთ ბოლო ინტერვიუს, რომელიც 15 ივნისის ადგილობრივ არჩევნებამდე 2 დღით ადრე ჩავწერეთ. ეს პერიოდი „რუსთავი 2“-ში მოსასმენი აპარატურის პოვნას დაემთხვა და კიწმარიშვილმა, ჩვენთან ერთად, ამ არხის შექმნიდან დღემდე, მთელი პერიოდი მიმოიხილა:

— **„რუსთავი 2“-სა და „ოცნებას“ შორის დაძაბულობა გრძელდება. ფარული ჩანაწერების ფრიალი, თავისმართლების პოზიციაში ჩამდგარი უმრავლესობა, დაკითხვაზე დაბარებული ნიკა გვარამია, შუბლაძის წასვლა არხიდან — 2001 წელს „რუსთავი 2“-სა და მაშინდელ ხელისუფლებას ურთიერთობა სწორედ ასე დაეძაბა. ისტორია მეორდება?**

— ასეთი გამოთქმა არსებობს — ისტორია მეორდება, ოღონდ, თავიდანაა დრამა და მერე ფარსი, ამიტომ ძნელი სათქმელია, რომ დღესაც იგივე ხდება.

— **ანუ თქვენ დროს დრამა იყო, ახლა ფარსია?**

— როგორც გინდათ, ისე დაარქვით. მაშინ ხალხის გარეთ გამოსვლა მათთვის მნიშვნელოვან მოვლენაზე რეაქცია იყო, ამის გამო, ფაქტობრივად, მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება და მთავრობის ძირითადი მოთამაშეები შეიცვალნენ. ეს სერიოზული მიწისძვრა იყო, რამაც 2 წლის შემდეგ „ვარდების რევოლუციისთვისაც“ მოამზადა ფონი, თუმცა მიზეზი მხოლოდ „რუსთავი 2“ არ ყოფილა — ეს იყო საზოგადოების პროტესტი, რომელიც ამ ფორმით გამოიხატა.

*დასასრული მე-4 გვერდზე*


## თიბისი ბანკი 2014 წლის საუკეთესო ბანკად დასახელდა საქართველოში

მსოფლიოს ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა ფინანსურმა ჟურნალმა, Euromoney, საუკეთესო ბანკების 23-ე ყოველწლიურ დაჯილდოებაზე თიბისი ბანკი დაასახელა 2014 წლის საუკეთესო ბანკად საქართველოში. ეს გამოცემა მესამე წელია ასახელებს თიბისი ბანკს გამარჯვებულად ამ კონკრეტულ ნომინაციაში.

ბანკების შეფასების კრიტერიუმი იყო მომსახურების ხარისხი, ინოვაციურობა. ევრომანიმ თიბისი ბანკის შეფასებისას გამოყო მისი დაკრედიტების სტაბილური ზრდა, ლიდერობა ტექნოლოგიურ პროდუქტებში, ასევე ისეთი მნიშვნელოვანი ინოვაციები, როგორებიცაა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა და საბანკო დაზღვევის სხვადასხვა პროდუქტი.

**„ჩვენთვის დიდი პატივია ჟურნალ Euromoney-ს ამ პრესტიჟული ჯილდოს მიღება. ეს აღიარება ფინანსური მომსახურების სრულყოფისკენ მუდმივი სწრაფვისა და ამ ინდუსტრიაში არსებული უმაღლესი სტანდარტების დაცვის შედეგია“,** — განაცხადა თიბისი ბანკის გენერალურმა დირექტორმა, ვახტანგ ბუცხრიკიძემ.

უკვე 23 წელია, Euromoney-ს ჯილდო ფინანსური მომსახურების ინდუსტრიაში ყველაზე პატივსაცემი დაჯილდოებაა. დაჯილდოება ავლენს 20-ზე მეტ გლობალურ კატეგორიას, ყველა რეგიონში „დარგის საუკეთესოს“ და საუკეთესო ბანკებს მსოფლიოს 100-მდე ქვეყანაში.



# თვითმკვლელობა თუ მკვლელობა?!




*მე-3 გვერდიდან*

**— „რუსთავი 2“-ში შეჭრის საჯარო მიზეზი დიდძალი გადასახადების დამალვა იყო, ეს საბედისწერო გადაწყვეტილება კი მაშინდელმა შს მინისტრმა, კახა თარგამაძემ მიიღო, რასაც პოლიტიკურად შეეწირა კიდეც. რა მოხდა სინამდვილეში?**

— 2001 წელს შევარდნაძის გუნდში, ერთმანეთს ორი დაჯგუფება ებრძოდა: მაშინდელი შს მინისტრი კახა თარგამაძე და მასთან დაკავშირებული ბევრი გავლენიანი ადამიანი, მათ შორის ბადრი პატარკაციშვილიც, ხოლო მეორე ჯგუფში ნუგზარ საჯაია და სხვა პირები იყვნენ. ამ დროს უკვე პოსტშევარდნაძის პერიოდისთვის მიდიოდა მზადება. 2005 წელს პრეზიდენტს ყველანაირი სამართლებრივი ვადა ეწურებოდა და პოსტზე მისი დარჩენის არანაირი მექანიზმი არ არსებობდა. 2000 წლიდან უკვე გავლენის მოსაპოვებლად დაიწყო ბრძოლა. მოკლედ, რევოლუციას არავინ გეგმავდა, ყველა შევარდნაძის წასვლისთვის ემზადებოდა, რათა ამის მერე რაც შეიძლება კარგი სასტარტო პოზიცია მიეღო. ამ გზაზე მთავარი ხელისშემშლელი და მოგების ძლიერი ინსტრუმენტი კი მედია იყო, სადაც გაბატონებული ლიდერი „რუსთავი 2“ გახლდათ. ამ არხის ყიდვის, ხელში ჩაგდებისა თუ განადგურების უამრავი სქემა იხილებოდა. არაერთხელ იყო მოლაპარაკებისა და შანტაჟის მცდელობაც.

**— ამ მოლაპარაკებებში თქვენც იყავით ჩართული — არხზე უშიშროების შემოსვლის მერე თქვენ, ჟვანია-სააკაშვილთან ერთად, თარგამაძე არ „შეწირეთ“ ამ საქმეს?**

— სააკაშვილი 2001 წელს საერთოდ ვინ იყო — იუსტიციის ახლადგადამდგარი მინისტრი, 7-კაციანი ფრაქციით პარლამენტში. 2001 წელს კი ჟვანიას ჩემთან არავითარი კავშირი არ ჰქონია. 2001 წლის ოქტომბერში, კახა თარგამაძის ფრთამ დაუშვა საბედისწერო შეცდომა — ინიცირება გაუკეთა ტელევიზიაში შემოჭრას, პარალელურად, დაიწყო არხზე გასული რეკლამების ქრონომეტრაჟის კონტროლი, კულუარული საუბრები პარლამენტში და ა.შ. ამას ქუჩაში 10 000-ობით ადამიანის გამოსვლა მოჰყვა. შევარდნაძე და მისი გუნდი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. შევარდნაძეს პირადადაც ვესაუბრე და ვკითხე, იცოდა, თუ არა „რუსთავი 2“-ში შეჭრის გადაწყვეტილების შესახებ. ვიციო, მითხრა, მაგრამ არ ეგონა, მოვლენები ასე თუ განვითარდებოდა. ამ ყველაფრის გამო ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდა ძალიან კარგი ადამიანი, მაშინდელი მინისტრი ვახტანგ ქუთათელაძე და იძულებული გახდა, გადამდგარიყო კიდეც. ამის შედეგად, ქვეყანაში მძიმე კრიზისული ვითარება შეიქმნა, რაც პოლიტიკურ კრიზისში გადაიზარდა. ამ დროს, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, გადადგა პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, ასევე კახა თარგამაძე და ასე შეიცვალა ძალთა ბალანსი საქართველოში. 1 თვეში, ასევე ყველასათვის მოულოდნელად, თავს იკლავს ნუგზარ საჯაია და 2 მთავარი მოთამაშე ქრება პოლიტიკური არენიდან. ანუ მაშინდელი ხელისუფლება ისეთ ბომბს შეეხო, რომელმაც მთელი პროცესი ააფეთქა. ეს არ იყო შეთქმულების თეორია — უბრალოდ, მაშინ ხალხშიც მომწიფებული იყო დიდი ცვლილებების სურვილი. ასე გაქრნენ უძლიერესი რუხი კარდინალი საჯაია და ამბიციური მინისტრი კახა თარგამაძე, 2001 წელს კი ამ პროცესების წიაღში სააკაშვილი ახალ ლიდერად დაიბადა.

**— სად იყო სააკაშვილი ამ დროს, რა პოზიცია ჰქონდა?**

— მან ძალიან საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო. ამ კრიზისის დროს იგი კიევში იყო, პროცესებში ღიად არც ჩართულა. იგი ახალგაზრდა თაობაში უკვე საკმაოდ პოპულარული იყო და ბევრი ადამიანის თხოვნის მიუხედავად, საქართველოში არ ჩამოვიდა. ეს ყველაფერი სააკაშვილმა კარგად გათვალა, რადგან მხოლოდ 33 წლისა იყო და შევარდნაძე რომ გადაეგდოთ, პრეზიდენტი მაინც ჟვანია გახდებოდა.

**— ისე, დღევანდელ მთავრობაში თარგამაძის ტიპის ამბიციურ ლიდერს ხედავთ, ან თუნდაც ისეთს, ვინც გავლენიან ტელეარხს ღია კონფრონტაციაში გამოიწვევს?**

— „ოცნების“ პოლიტიკურ გუნდს ან პოლიტიკოს ირაკლი ღარიბაშვილს ჯერ არ ვიცნობ, ვიცნობ მხოლოდ ერთ პოლიტიკოსს, ბიძინა ივანიშვილს და მის მიერ დანიშნულ ადამიანებს. ყველა დანარჩენმა ჯერ ის უნდა დაამტკიცოს, რომ პოლიტიკური მოთამაშეა, რასაც დრო სჭირდება. ზოგადად, დღევანდელ და მაშინდელ ვითარებას შორის ორი განსხვავებაა: ჯერ ერთი, სხვა განწყობა იყო მაშინ საზოგადოებაში, იყო ცვლილებების მუხტი, რევოლუციის მოლოდინი. დღეს ეს მუხტი არ არსებობს და ხალხი დრამატული ცვლილებისთვის არ არის განწყობილი. მეორე განსხვავება კი ისაა, რომ „რუსთავი 2“-ის მაშინდელი მდგომარეობა და გავლენა ხალხის მოთხოვნის ამსახველი იყო.

**— დღეს „რუსთავი 2“ ხალხის განწყობას აღარ გამოხატავს ან იქნებ საქმე მის დირექტორ ნიკა გვარამიაშია?**

— „რუსთავი 2“-ის მუშაობის შედეგად დადებული პროდუქტი, რასაც ყველა ვხედავთ, ბოლო 10 წლის შედეგია. გართობის ინდუსტრიაში კარგ პროდუქტს ვხედავ, პოლიტიკურ შოუებს კი ყველა არხზე ერთნაირი, მოძველებული და მდარე ხარისხი აქვს. იგივეა ფორმატი, სტილისტიკა, ერთადერთი, რაც უმჯობესდება, ინტერიერი და სტუდიაა, სხვა სიახლე არ არის. არადა, ბოლო 15 წელია მსოფლიო გაცილებით შორს წავიდა, ვიდრე დღეს ჩვენ ვართ. ის გავლენა, რაც მაშინ ტელევიზიას ჰქონდა და აქვს დღეს, მხოლოდ პროფესიონალიზმის შედეგია, თუმცა ვერ ვიტყვი, მოიმატა თუ იკლო ამ გავლენამ. კონკრეტულად მოსმენების თემას რაც შეეხება, ეს ყველაფერი ვნახე, დიდი ყურადღება არ მიმიქცევია, ჩემში არც დიდი ემოციები გამოუწვევია. ერთი ის ვიცი, რომ არც ერთი და არც მეორე მხარის ქმედებას ისეთი არაფერი გამოუწვევია, ვერავინ ვერაფერს გადაყვება და ვერავინ ვერაფერს მოახდენს! გულწრფელად გეუბნებით, რაც დღეს ხდება, ბომბის აფეთქება არ არის, პატარ-პატარა ჩხუბია ორივე მხრიდან — ქარიშხალი ჭიქაში. დღეს საქართველოში მასშტაბური არაფერი ხდება. ეს მცირე დაძაბულობა „რუსთავი 2“-ზე ხელისუფლების გარკვეული ჯგუფის გავლენის მოსაპოვებლად დაიწყო, რასაც არხის რომელიღაც დაჯგუფების, რომელსაც არ ვიცი, ახლა ვინ წარმოადგენს, თავდაცვითი რეაქციები მოჰყვა. ეს არის პატარა, ლოკალური კონფლიქტები, რაც მასშტაბურ მოვლენებში არ გადაიზრდება. ვინც ამას ფიქრობს, გადაჭარბებული მოლოდინი აქვს. ეს ის მოვლენები არ არის, რამაც უნდა შექმნას ახალი ეპოქა ან ვინმე გადაიყოლოს. საერთოდ, მგონია, ვითარება არჩევნების მერე დამშვიდდება. კონფლიქტი იარსებებს, დაძაბულობა იქნება, მაგრამ ამ ჩარჩოებს არ გასცდება და ძალიანაც კარგი, თუ ასე მოხდება. ხალხი ამ ხელოვნური ქარტეხილებით დაიღალა. არხზე შევარდნებსა და ფინანსურ დევნასაც გამოვრიცხავ — რომც შეცვივდნენ, ამას რა მიზანი ექნება, მით უმეტეს, შედეგი?!

**— „რუსთავი 2“-ისა და „მაესტროს“ სასამართლო პროცესებზე რა ხდება?**

— ეს საქმეები, ფაქტობრივად, გაყინულია. 2009 წელს „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით დაწყებული სასამართლო პროცესი წავაგე, დღეს პროცესს ჩემი ორი სხვა პარტნიორი აწარმოებს, საჩივარი პროკურატურაში აქვთ შეტანილი და ე.წ. მოკვლევა უკვე 3 წელია გრძელდება. მოწმის სახით დიდი ხნის წინ დამკითხეს, გამოძიებას ჩემს ხელთ არსებული ინფორმაცია გადავეცი და ახლა დიდი ინტერესით ველი პროცესების განვითარებას. მას მერე იცვლებიან გენერალური პროკურორები, პროკურორები, გამომძიებლები და საქმე ისევ დევს. ახლა, თურმე, მიხეილ სააკაშვილის სახით ახალი მოწმე გამოჩნდა და აბა, მას თუ არ დაკითხავენ, ისე რა გაირკვევა. ანალოგიური მდგომარეობაა „მაესტროს“ საქმეზეც. მოკლედ, ჩვენი თემიდა იმდენჯერ გააუპატიურეს ბოლო წლების განმავლობაში, ახლა მისი ბუნებრივი მდგომარეობა ახალი მფარველის ძიებაა. ეტყობა, ეს ახალი მფარველი ახალი ხელისუფლებაა. უკვე 10 თვეა, უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილებას ვერ იღებს, დაუშვას თუ არა განხილვაზე ჩემი ეს სარჩელი. ასე რომ, ახლა თემიდა ზის და ვარსკვლავებს უყურებს, რომლებიც ჯერ ახალს არაფერს ამცნობენ.

**— ადგილობრივ არჩევნებზეც ვისაუბროთ — „ქართული პარტია“ ბევრ ნაწილად დაიშალა: ირაკლი ოქრუაშვილის კაცი კენჭს გორში იყრის, ძმები გაჩეჩილაძეები „აორთქლდნენ“, თქვენ რუსთავის მერობა გინდათ, სოზარ სუბარი მინისტრია, კოკა გუნცაძე რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოშია. პარტია, თუ არ ვცდები, ოქრუაშვილს დარჩა, მაგრამ საინტერესოა, ვინ წაიყვანა მხარდამჭერთა ის ჯგუფი, რომელიც თავის დროზე გყავდათ?**

— „ქართული პარტია“ ჩემი ინიციატივითა და ერთადერთი მიზეზით შეიქმნა. იგი განსხვავებული წარსულისა და პრინციპების მქონე ადამიანებით დაკომპლექტდა, მაგრამ მიზანი ერთი გვქონდა — ყველა სააკაშვილის წინააღმდეგ! სამწუხაროდ, „ქართული პარტიისა“ და ნინო ბურჯანაძის კიდევ უფრო დიდი გაერთიანება არ შედგა, პარტია დაიშალა, ბეჭედი და ხელმოწერა ვის დარჩა, ეს საინტერესო აღარავისთვისაა... თუმცა დიახ, ბეჭედი ნამდვილად ოქრუაშვილს დარჩა. პარტიიდან ყველა დანარჩენი გავიდა, მე გამრიცხეს, ეს იყო სულ... „ქართულ პარტიას“ მაშინ მხარდამჭერები იმიტომ ჰყავდა, რომ მასში რამდენიმე ძლიერი მოთამაშე გაერთიანდა. ძნელი სათქმელია, ამ დაშლილ მოთამაშეებს ახლა რა ზურგი და მხარდაჭერა აქვთ. ჩემი პირადი რეიტინგი იმ პარტიაში არც მაშინ მაინტერესებდა და არც ახლა მაინტერესებს. 4 წელი ხდება, არც ერთ ძველ თანაპარტიელთან არანაირი ურთიერთობა არ მქონია, არც ვიცი მათი ამბავი, არც ვკითხულობ და არც მაინტერესებს. რაც შეეხება ლევან და გია გაჩეჩილაძეებს, მათთან არანაირი ტიპის, მათ შორის, არც ადამიანური ურთიერთობები არ მაქვს. მათი შეფასებები და მხარდაჭერა საერთოდ არ მაინტერესებს. ისიც მათი პრობლემაა, გამოჩნდებიან თუ არა საერთოდ და ვის დაუჭერენ მხარს. ჩვენი პარტია თავიდანვე მკვდრადშობილი იყო — კრილოვის ცნობილი არაკისა არ იყოს.

**— რუსთავის მერად რომ იყრით კენჭს, რისი იმედი გაქვთ?**

— ყველა იმ ფაქტორისა, რისგანაც გამარჯვება ყალიბდება: ჩემი ცოდნა, გამოცდილება, პროფესიონალიზმი; ასევე, კონკრეტულად რუსთავის პრობლემების ცოდნა და ის ადამიანური თუ სხვა რესურსი, რაც ამ ქალაქში მაქვს. იქ გავიზარდე, დავამთავრე სკოლა, იქაა მამაჩემის საფლავი. ვიყავი რუსთავის მთავარი ექიმი, 5 000-კაციანი კოლექტივის ხელმძღვანელი. სხვათა შორის, დღევანდელი ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, 1990 წელს, იმ საავადმყოფოში, სადაც მოხვედრა ჩაწყობის გარეშე შეუძლებელი იყო, პირდაპირი კონკურსის წესით მივაღებინე, სამშობიარო სახლის წამყვანი ექიმი გახდა, სტუდენტობაში ჩემი ახლო მეგობარი იყო. როცა „ვარდების რევოლუცია“ მოხდა და ცვლილებების შანსი გაჩნდა, პირველი, რაც გავაკეთე, ჩემი ინიციატივითა და ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით, რუსთავის აღორძინების სახელმწიფო კომისია შეიქმნა. ეს ჩემი კატეგორიული მოთხოვნა იყო, რათა რუსთავისთვის ინდუსტრიული ქალაქის მნიშვნელობა დაგვებრუნებინა. მერე მაშინდელი ხელისუფლება დამიპირისპირდა და ქვეყნიდან წავედი. ამასობაში, რუსთავში, აღორძინების ნაცვლად, საშინელი პრივატიზაცია დაიწყო, რამაც ქალაქს კარგი არაფერი მოუტანა. 2006 წელსაც ვაპირებდი ჩამოსვლას, მეგონა, არჩევნებზე შანსი იყო, მაგრამ რეალურად, დღესაა პირველი შანსი, ქალაქის მერი პირდაპირი წესით აირჩეს. მყავს ადამიანთა უზარმაზარი წრე, რომლებიც მენდობიან, მაქვს ცოდნა და ხედვა, რა გავუკეთო ამ ქალაქს და კონკრეტული გეგმებით მივდივარ რუსთავში.

**— „მაესტროს“ სკანდალი, „ქართული პარტიის“ კრახი, ბიძინა ივანიშვილთან დაპირისპირება — ეს ყველაფერი თქვენს იმიჯზე ნეგატიურად არ აისახება?**

— დღეს იმის შეჯიბრი კი არაა, ვინ როგორ გამოიყურება, არამედ იმის, ვის რა შეუძლია. ერთადერთი ბრენდი, რაც ქალაქმა რუსთავმა შვა, ანსამბლ „რუსთავის“ გარდა, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ია. საერთაშორისო ცნობადობის სხვა ასეთი ბრენდი რუსთავში არ დაბადებულა. „მაესტრო“ კი იყო კომპანია, რომელიც ლაზარესავით მკვდარი გავაცოცხლე. ბიძინას ან ვინმეს კი არა, შიმშილსა და სიღარიბეს ვუპირისპირდები რუსთავში! ხალხმა უკვე წარმატებით აირჩია რუსთავში წინა მთავრობის კანდიდატი, ახლა „ოცნების“ მაჟორიტარი ჰყავთ და, თუ კმაყოფილები არიან, სხვა საქმეა. თუ სიახლე და რეალური წინსვლა სურთ, ალტერნატივა ეძებონ. ეს ალტერნატივა კი, მე ვარ.

**— ახლა ეს ყველაფერი რიტორიკად რომ არ დარჩეს, რამდენიმე კონკრეტული დაპირება დაასახელეთ.**

— მოქმედი კანონით, მერს სამწლიანი ვადა აქვს — სამ წელიწადში ყველაფერს ვერ მოვასწრებ, მაგრამ დღეს რუსთავის ბიუჯეტი დაახლოებით 20 მლნ დოლარია. არადა, მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, დღეს მინიმუმ 80 მლნ უნდა იყოს. ჩემი დაპირება ისაა, რომ 3 წლის შემდეგ ამ ქალაქის ბიუჯეტი გაორმაგდება და 40 მლნ დოლარი გახდება. გარდა ამისა, ამ 3 წლის განმავლობაში, ინვესტიციის სახით, 100 მლნ დოლარს მოვიზიდავ, რაც კომერციულ არასამუშაო ადგილებს გაზრდის და დამატებით, 10 000 ადამიანი დასაქმდება. ამ ფონზე, რუსთავის პენსიონერებს დანამატის სახით, პენსიაზე ერთ იმდენს კიდევ დავურიცხავთ და მათი პენსია გაორმაგდება. რაც შეეხება ახალგაზრდებს, რუსთავს აქვს პოტენციალი, საგანმანათლებლო ცენტრად იქცეს. ქალაქი საუნივერსიტეტო და სპეციალური განათლების ნაციონალურ, ხოლო შემდეგ რეგიონულ ცენტრად უნდა ვაქციოთ. ადგილობრივებისთვის კი სწავლა 50 %-ით იაფი იქნება. სხვათა შორის, 2009 წელს მე და ბიძინა ივანიშვილი ეროვნული განვითარების სტრატეგიის პროექტს ვაკეთებდით — ჩემი ფონდი „2020“-ითა და ივანიშვილის ფონდი „ქართუ“-თი, თუმცა ეს ზოგ-ზოგიერთებს დაავიწყდათ. ეს პროექტი ქართველი მეცნიერების მონაწილეობითაც კეთდებოდა. დღეს ეს ხალხი ჩემთან ერთად იმუშავებს ამ საკითხებზე და ჩემი გამარჯვების შემდეგ, ქალაქის განვითარების ჯერ 3-წლიანი, შემდეგ კი 5-წლიანი გეგმა გვექნება.

# საკრებულოში რამდენიმე პოსტს ისევ ნაციონალები დაიკავებენ?

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**დედაქალაქის საკრებულოს ახალი თავმჯდომარე ჰყავს — გიორგი ალიბეგაშვილი, კოალიცია „ქართული ოცნების“ სიის მესამე ნომერი და კონკრეტულად, „ოცნების“ პარტიის წარმომადგენელი. ახალ თავმჯდომარეს, რომელიც პროფესიით ფილოლოგია და აქამდე პოლიტიკასთან შეხება არ ჰქონია, საკრებულოს 37-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, 8 — წინააღმდეგი იყო. მისი სახელი და გვარი საზოგადოებისთვის არცთუ კარგადაა ცნობილი, სამაგიეროდ, ცნობილია ფაქტი, რომ ალიბეგაშვილი 2009 წლიდან დღემდე, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში მუშაობს და სამეცნიერო წრეებშიც ავტორიტეტით სარგებლობს.**



## „ოცნება“ „ოცნების“ წინააღმდეგ — უმრავლესობის წევრების დაპირისპირება მუნიციპალიტეტებში

საკრებულოს პირველ სხდომას რაც შეეხება, ძველი მერიის ისტორიულ შენობაში, 14 ივლისს საზეიმოდ ჩატარდა და რამდენიმე კონკრეტული სიახლეც გამოიკვეთა. მაგალითად ის, რომ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების რაოდენობა გაიზრდება. მათგან პირველის ვინაობა უკვე ცნობილია — „მრეწველი“ გიორგი ტყემალაძე, რომელიც წინა მოწვევის საკრებულოს დეპუტატიცაა და კარგა ხნის მანძილზე, ამ მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარედაც მოიაზრებოდა. ჯამში, „ოცნებამ“ პროპორციული სიით 13, მაჟორიტარულით კი 24 დეპუტატი გაიყვანა და  უმრავლესობა მოიპოვა. ნაციონალურ მოძრაობას თბილისის წარმომადგენლობით ორგანოში 7, ნინო ბურჯანაძის პარტიას 3, პატრიოტთა ალიანსს კი 2 წევრი ჰყავს. საკრებულოს კიდევ ერთი და განსაკუთრებული წევრი უპარტიო ალეკო ელისაშვილია, რომელმაც პირველივე სხდომაზე პირველი „ჟურნალისტური შეტევა“ ახლადარჩეულ თავმჯდომარეზე მიიტანა და პერსონალურ ავტომობილებზე უარის თქმა მოსთხოვა. „ღმერთმა ქნას, ისეთი იდეალური და მშვიდი სახელმწიფო შეგვექმნას, რომ მართლა ველოსიპედებით გვევლოს“, — უპასუხა ალიბეგაშვილმა, უკმაყოფილო ელისაშვილმა კი საკრებულოს ახალ თავმჯდომარეს ხმა არ მისცა და კიდევ უფრო მკვეთრი განცხადება გაკეთა: „ჩანს, საკრებულო ისევ ვერ შეელევა ამ ავტომობილებს, ამას მოჰყვება პრემიები, გამოჩნდება ახალი შიხიაშვილი...“ ახალი თავმჯდომარისა და მისი მოადგილის კანდიდატურებს ხმა არც ნინო ბურჯანაძის საარჩევნო ალიანსის წევრებმა დაუჭირეს, ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად. თუმცა ბურჯანაძისპარტიელ შალვა ოგბაიძეს ალიბეგაშვილის მისამართით, თბილისის გამწვანებული ტერიტორიების გაჩეხვაზე, კითხვები და პრეტენზიები უკვე მომზადებული ჰქონდა. „ვერსიამ“ საკრებულოს წევრებთან საუბრისას გაარკვია, რომ შემდეგი, რიგგარეშე სხდომა ამ კვირაში, 18 ივლისს შედგება და დეპუტატები ყველა პროცედურული პრობლემის გადაჭრას შეეცდებიან. მანამდე, რამდენიმე საკითხი საკრებულოში მეორე კაცთან, თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ტყემალაძესთან** დავაზუსტეთ:

— საკრებულოს ახალი თავმჯდომარე სამეცნიერო წრეებიდან გახლავთ. უაღრესად განათლებული და წარმატებული ადამიანია. პოლიტიკასთან შეხება რომ არ ჰქონია, უმრავლესობისა და კოალიციის მიერ მისი კანდიდატურის დასახელების მიზეზიც ზუსტად ეს გახლავთ. საკრებულოს ოპოზიციურმა ნაწილმა განაცხადა, რომ პიროვნულად გიორგი ალიბეგაშვილთან კითხვები არ აქვთ, უბრალოდ, მისთვის ხმის არმიცემა პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. საკრებულოს უმრავლესობამ კი ალიბეგაშვილი ერთხმად აირჩია.

**— ყველაზე გახმაურებული ალეკო ელისაშვილის გამოსვლა და კომენტარი იყო, რომ მალე ახალი შიხიაშვილი გეყოლებათ, პრემიებსაც ისევ დაირიგებთ — არის გარანტია, რომ ასე არ მოხდება?**

— ამის საფუძველი ნამდვილად არ არსებობს. ჯერ ერთი, თავმჯდომარემ ყველა კითხვას მკაფიო პასუხი გასცა. რაც შეეხება სხვადასხვა საკადრო საკითხს, გარდა თავმჯდომარისა და მისი მოადგილის არჩევისა, სხვა გადაწყვეტილება არ მიგვიღია. სხდომაზე სულ ეს ორი საკითხი იყო გატანილი. ახლა კანონში თვითმმართველობის შესახებ ესეც მკაფიოდ წერია. შესაბამისად, ჯერ არც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების რიცხვი გაზრდილა და არც კომისიების რაოდენობა ვიცით. ამ ყველაფერს საკრებულოს რეგლამენტი არეგულირებს, რომელსაც უახლოეს დღეებში მივიღებთ.

**— „ოცნების“ გადაწყვეტილება როგორია, ყველა კომისიის უფროსად და ყველა მოადგილედ მხოლოდ თქვენი გუნდის წევრებს დანიშნავთ თუ ამ პოსტებზე სხვა პარტიის წევრებიც შეიძლება ვიხილოთ?**

— მას მერე, რაც რეგლამენტზე ჩამოვყალიბდებით, დაიწყება კონსულტაციები, მათ შორის, ოპოზიციასთანაც. გადაწყდება, ვინ რა თანამდებობაზე იქნება და დაიკავებენ თუ არა პოსტებს ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები. არ გამოვრიცხავ, ეს პოსტები ნაციონალებმა და სხვა ოპოზიციური პარტიის წევრებმაც დაიკავონ. გარდა ამისა, სავარაუდოდ, კოალიციაში შემავალ ყველა პარტიას ცალკე ფრაქცია ეყოლება საკრებულოში, მათ შორის მეც. ახალი კოდექსით, ერთ პარტიას 2 ფრაქციის შექმნის უფლება არ აქვს.

**— ვიდრე ამ საკითხებს არ გაივლით, ბიუჯეტზე მუშაობას ვერ დაიწყებთ. არ გეშინიათ, თბილისის ბიუჯეტი ისევ ჩავარდეს?**

— მას მერე, რაც საკრებულოს კომისიები დაკომპლექტდება და ბიურო ამოქმედდება, მუშაობას სრული დატვირთვით დავიწყებთ. ყველაფერი შემჭიდროებულ ვადებში დასრულდება და სექტემბრამდე მოესწრება. აპარატში არავითარი საკადრო ცვლილება არ იგეგმება და ვინც მოვალეობას პირნათლად ასრულებს, სამსახურიდან დათხოვნა არ ემუქრება.

**— მერია და საკრებულო ერთი გუნდი ხართ, ერთი პროგრამა გაქვთ და საინტერესოა, ერთმანეთი როგორ უნდა აკონტროლოთ?**

— დავით ნარმანიას საარჩევნო პროგრამა მთელი კოალიციისაც იყო, ამიტომ საკრებულო ამ პროგრამის ყველა პუნქტს განიხილავს და მაქსიმალურად შეასრულებს. ჩვენ და მერიის ახალი შემადგენლობა, როგორც ერთი გუნდი, ერთობლივად კარგად ვიმუშავებთ, თუმცა გაძლევთ გარანტიას, აზრთა სხვადასხვაობაც იქნება ხოლმე. დღევანდელი თვითმმართველობის კოდექსი ზუსტად ის მოდელია, რომლის დახმარებით მერია-საკრებულოს ერთმანეთთან დაბალანსებული პოლიტიკა ექნება.

### „ოცნება“ „ოცნების“ წინააღმდეგ მუნიციპალიტეტებში

თბილისის გარდა საკრებულოს პირველი სხდომები 14 ივლისს თვითმმართველი ქალაქების რამდენიმე მუნიციპალიტეტშიც გაიმართა. რუსთავში, ახალციხეში, ამბროლაურში, ქუთაისში, ზუგდიდში, ფოთსა და ბათუმში არჩევნების მეორე ტურისა და ქალაქების მერების ვინაობის დაზუსტების შემდეგ, საკრებულოს თავკაცების დასახელების დროც დადგა: **რუსთავში,** სადაც მეხუთე მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა ჩატარდა, საკრებულოს თავმჯდომარე დავით მალლაკელიძე გახდა. საკრებულოს 17 მანდატი ანუ უმრავლესობა აქაც „ოცნებას“ ერგო, 4 — ნაციონალურ მოძრაობას, თითო-თითო მანდატი კი ლეიბორისტებს, ნინო ბურჯანაძის პარტიას, პატრიოტთა ალიანსსა და პარტია „ჩვენ საქართველოს“. სხდომა საკრებულოს უხუცესმა წევრმა „ქართული ოცნებიდან“, რობიზონ ლომიძემ გახსნა და საკრებულოს თავმჯდომარე, პირველი მოადგილიანად, ხმათა უმრავლესობით აირჩიეს. მას მხარი, 4-მა ნაციონალმა არ დაუჭირა. დავით მალლაკელიძე ზვიად ძიძიგურის კონსერვატორული პარტიის წარმომადგენელია და, როგორც ჩანს, რუსთავის მაჟორიტარმა, ძიძიგურმა საკრებულოში თავისი კაცის გაყვანაზე კარგად იმუშავა.

**ქუთაისის** საკრებულოს თავკაცი, რომელიც 21-მა კაცმა 20 ხმით აირჩია, დავით დვალი გახდა. ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობა საკრებულოს ნაციონალურ უმცირესობას საერთოდ არ მიუღია. ქუთაისის საკრებულოს ახლადარჩეული თავმჯდომარე წინა მოწვევის საკრებულოს დეპუტატიც იყო ქრისტიან-დემოკრატებიდან, 2012 წელს კი, როგორც არაერთი ქრისტიან-დემოკრატი, ისიც ბიძინა ივანიშვილის გუნდს შეუერთდა. ახალი თავმჯდომარე აირჩია **ახალციხის** საკრებულომაც. თავმჯდომარის პოსტზე მხოლოდ დავით ლომიძის კანდიდატურა  იყო დასახელებული, ნაციონალურმა მოძრაობამ კი თავი კანდიდატის დასახელებისგანაც შეიკავა. ლომიძის მოადგილედ ასევე კოალიცია „ოცნების“ წარმომადგენელი გელა ნოზაძე აირჩიეს. ანალოგიურად განვითარდა მოვლენები **ზუგდიდის** საკრებულოში, სადაც თავმჯდომარედ, ფარული კენჭისყრის შედეგად, ხმათა უმრავლესობით, „ოცნების“ წარმომადგენელი მერაბ ქვარაია აირჩიეს. კენჭისყრაში მონაწილეობა საკრებულოს 15-ივე წევრმა მიიღო. ახლადარჩეულ თავმჯდომარეს ხმა 12-მა დეპუტატმა მისცა, ნაციონალური მოძრაობის სამმა დეპუტატმა კი — არა. ქვარაიას მხარი ნინო ბურჯანაძის მიერ გაყვანილმა ერთმა დეპუტატმა, თენგიზ ხარჩილავამაც დაუჭირა, რადგან „ოცნებამ“ ზუგდიდში 11 კაცი გაიყვანა. უშუალოდ სხდომის მიმდინარეობისას კი ბურჯანაძისპარტიელმა „ოცნების“ თავმჯდომარეს „სიყვარული საჯაროდ აუხსნა“ და განაცხადა, დიდი ხნის მეგობრები ვართო. ასე მეგობრულად ჩაიარა საკრებულოს პირველმა სხდომამ **ფოთშიც.** ფოთის საკრებულოს თავმჯდომარედ, დამოუკიდებელი დეპუტატი ოთარ ხარჩილავა აირჩიეს, რომელმაც თავმჯდომარეობის მეორე პრეტენდენტს სულ ერთი ხმით აჯობა. ლევან ჩოჩიამ, კენჭისყრის შედეგად 7, ოთარ ხარჩილავამ კი 8 ხმა აიღო. კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი ნაციონალურმა მოძრაობამ **ბათუმშიც** განაცხადა. როგორც „ნაციონალმა“ გიორგი კირთაძემ აღნიშნა, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს, თავად კოალიციის წევრების გარდა, მხარი სხვა ოპოზიციური პარტიების დეპუტატებმაც დაუჭირეს, რაც ალბათ, ბევრისმთქმელიაო. თავად ირაკლი ჭეიშვილმაც, რომელიც მანამდე „ოცნების“ ბათუმის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა და სიის პირველი ნომერიც იყო, არჩევისთანავე, ერთი ფრაზით თქვა ბევრი: საკადრო ცვლილებები იქნება როგორც საკრებულოს აპარატში, ისე სხვა სამსახურებშიო.

თუმცა 14 ივლისს მხოლოდ მშვიდი და მეგობრული სხდომებით არ ჩაუვლია. მოვლენები საინტერესოდ შუახევისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტებში განვითარდა. **შუახევში** საკრებულოს თავმჯდომარე ვერ აირჩიეს, რადგან თემურ ქარცივაძეს მხარი საკუთარმა თანაკოალიციელმა 8 დეპუტატმა არ დაუჭირა. პროცესი ჩავარდა, 20-წუთიანი შესვენება გამოცხადდა და ამის მერე, რამდენიმე დეპუტატი სხდომათა დარბაზიდან ისე გავიდა, უკან აღარ შებრუნებულა. აი, **ჩხოროწყუში** კი საკრებულოს პირველი სხდომა „ქართული ოცნების“ 12-მა დეპუტატმა პროტესტის ნიშნად საჯაროდ დატოვა. მათ პროტესტს საკრებულოს ახალი თავმჯდომარის არჩევისთვის ხელი არ შეუშლია. დამოუკიდებელ კანდიდატს, ბესო ესებუას 16 წევრმა მხარდაჭერა გამოუცხადა. ჩხოროწყუს საკრებულო კი სულ 28 კაცისგან შედგება. მასმედიის კითხვებზე, რა გააპროტესტეს დეპუტატებმა, რატომ არ მისცა „ოცნებამ“ „ოცნებას“ ხმა და არის თუ არა ეს დაპირისპირება ადგილებზე, „ოცნების“ წარმომადგენელმა თამაზ თურმანიძემ გაზეპირებული ფრაზით უპასუხა — ეს დემოკრატიული პროცესიაო. როგორც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა, დანარჩენ მუნიციპალიტეტებში საკრებულოს პირველი სხდომა და „დემოკრატიული პროცესები“ 2 აგვისტოს შედგება.

---

**ვერსიანიუსი**

## „თბილისის აეროპორტში“ არადეკლარირებული ნივთები აღმოაჩინეს



საბაჟო გამშვებ პუნქტ „თბილისის აეროპორტში“ ბოლო დღეების განმავლობაში სხვადასხვა სახის რამდენიმე კანონდარღვევა გამოვლინდა. სსიპ შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, აზერბაიჯანის მოქალაქე ფ. მ.-მ, რომელიც რეისით დუბაი-თბილისი ჩამოფრინდა 5 ცალი მობილური ტელეფონის: Samsunng Galaxy S5 და 1200 ღერი ფილტრიანი სიგარეტი Marlboro-ს შემოტანა სცადა დეკლარირების წესის გვერდის ავლით. საქონლის საბაჟო ღირებულებამ 5498,15 ლარი შეადგინა. საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მგზავრს სანქციის სახით შეეფარდა ფულადი ჯარიმა 5498,15 ლარი.

ასევე არადეკლარირებული მობილური ტელეფონები აღმოაჩინეს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა 13 ივლისს დუბაი-თბილისის რეისით ჩამოსული აზერბაიჯანის მოქალაქე ა.პ.-ის ბარგის დათვალიერების შედეგად. მგზავრს უკანონოდ შემოჰქონდა არადეკლარირებული IPHONE 5 – 4 ცალი, NEXUS 5 – 1 ცალი, SAMSUNG GALAXY NOTE 3 – 2 ცალი, LG-G3 – 1 ცალი, LG- G FLEX – 3 ცალი. საქონლის საერთო ღირებულებამ 10824,77 ლარი შეადგინა. მგზავრს, საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, სანქციის სახით შეეფარდა ფულადი ჯარიმა 10824,77 ლარის ოდენობით.

ამასთან, „თბილისის აეროპორტში“ სტამბოლი-თბილისის რეისით ჩამოფრინდა საქართველოს მოქალაქე ნ.გ., რომლის ბარგშიც მებაჟე ოფიცრებმა 90 კაფსულა ფსიქოტროპული მედიკამენტი KEMIRICA 300 მლ. (პრეგაბალინი) აღმოაჩინეს. საქმე შემდგომი რეაგირებისთვის შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს გადაეცა.

*„ინტერპრესნიუსი“*

ექსკლუზიური ვერსია

# სააკაშვილი-რულოვსის დაცვის წევრები სახელმწიფო დაცვის სამსახურის ბიუჯეტიდან თანხის გაფლანგვის გამო დაკითხეს?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**14 ივლისს, საქართველოს ექსპრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილისა და ყოფილი პირველი ლედის, სანდრა რულოვსის დაცვის უფროსები მთავარ პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს. დაკითხვაზე დაიბარეს თემო საჯაია, გიორგი ლაგურიშვილი, ქალბატონი, რომელიც ყოფილ პირველ ლედის საოჯახო საქმეებში ეხმარებოდა, სააკაშვილის ესპანელი მზარეული და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დაცვის უფროსი რამაზ ლაფაჩიშვილი. პროკურატურაში ლაფაჩიშვილს კითხვები სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ დაუსვეს. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, „რუსთავი 2“-ის დაცვის სამსახურის უფროსმა სხვა საკითხზე აღარ ისაუბრა. დეტალებზე არც მთავარ პროკურატურაში საუბრობენ, რადგან საქმეს, რის გამოც სააკაშვილი-რულოვსის დაცვის წევრები დაკითხეს, გრიფი „საიდუმლო“ ადევს.**

დაკითხვაზე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსი თემურ ჯანაშიაც მივიდა. მისი თქმით, პროკურატურიდან ტელეფონით დაუკავშირდნენ და უთხრეს, რომ პრეზიდენტის დაცვის ხარჯებთან ჰქონდათ კითხვები. პროკურატურაში განაცხადეს, რომ ამ პირების დაკითხვის მიზეზი საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობაა.

დეტალებზე არ საუბრობენ, მაგრამ „ვერსიის“ ვარაუდით, გამორიცხული არ არის, ექსპრეზიდენტისა და ყოფილი პირველი ლედის დაცვის წევრები იმ საქმის გამო დაიბარეს, რომელიც წელიწადნახევრის წინ, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ, ირინა იმერლიშვილმა გაახმაურა. „ვერსიაში“ ვწერდით, რომ იმერლიშვილმა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტის ფარულ ხარჯებს გრიფი „საიდუმლო“ მოხსნა. დეპუტატმა გაარკვია, რომ საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის ოჯახის წევრებისა და მეგობრების დასვენება-გართობასა და ფუფუნების საგნებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონობით ლარი იხარჯებოდა; მაგალითად, მიხეილ სააკაშვილის ესპანელი მზარეულის ცხოვრებისა და თარჯიმნით უზრუნველყოფის ხარჯი 500 000 ლარს შეადგენს — მზარეულის ერთი თვის ხელფასი 13 494, თარჯიმნის თვიური ანაზღაურება კი 3 400 ლარი იყო, ესპანელი მზარეულისთვის დაქირავებულ ბინაში, თვეში 1 294 ლარს იხდიდნენ. 2012 წელს, მხოლოდ ერთ თვეში, მზარეულისა და თარჯიმნის ხარჯები სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტს 18 188 ლარი დაუჯდა! მეტიც, ესპანელი მზარეულისა და თარჯიმნის თურქეთში მივლინების ხარჯი — 4



## ნაციონალების გართობა-დასვენებისა და ფუფუნების საგნებში დახარჯული მილიონობით ლარი

728 ლარი და 90 თეთრიც კი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტიდან გადაიხადეს.

რაც შეეხება გართობა-დასვენებას, წინა მოწვევის პარლამენტარები: კობა ხაბაზი, ალანა გაგლოევა, ზურაბ ჭიაბერაშვილი, გოგა ხაჩიძე, დავით საყვარელიძე, მარიამ საჯაია, გიორგი ღვინიაშვილი, ნუგზარ წიკლაური, სერგო რატიანი, დავით დარჩიაშვილი ახალ წელს, პრეზიდენტთან ერთად, დუბაიში შეხვდნენ. მათ გართობაზე 240 000 ლარი დაიხარჯა. მარიამ საჯაიას პრეზიდენტმა ძვირადღირებული მობილური ტელეფონი და სამაჯური უყიდა, უკრაინელ მომღერალ ივანა მელაის ოქროს სამკაული აჩუქა, მელაის მამას კი საქართველოს მოქალაქეობა სრულიად უკანონოდ მიანიჭა, რადგან საკუთარ ქვეყანაში ინტერპოლი ეძებდა. სააკაშვილმა და უგულავამ, ძვირადღირებულ ავსტრიულ კურორტზე, გასახდომ პროცედურებში 115 000 ლარი სწორედ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტიდან დახარჯეს. დოკუმენტებით ირკვევა, რომ 40 ერთეული ცხვარიც იყიდეს 7 950 ლარად და მოსახლეობას დაურიგეს.

ექსპრეზიდენტის უფროსი ვაჟის, ედუარდ სააკაშვილის სწავლის საფასური — 14 000 ლარი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტიდან გადაიხადეს, ასევე ბათუმის „შერატონში“ მომსახურების ხარჯი — 936 ლარი და 23 თეთრი, მაგრამ დოკუმენტში მითითებული არ იყო, ვინ იმყოფებოდა სასტუმროში. მომდევნო დოკუმენტიდან ირკვევა, რომ პრეზიდენტის სტუმრის, მარიამ საჯაიასთვის, თბილისი-ბათუმის მიმართულებით, ავიაბილეთი 175 ლარად და 70 თეთრად შეუძენიათ.

ერთ-ერთ დოკუმენტში გაშიფრულია პრეზიდენტის ოჯახის წევრების მიერ მედიკამენტებისა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთების ხარჯები, ჯამში 1 570 ლარი და 70 თეთრი. მედიკამენტებში 55 ლარი და 05 თეთრი გადაიხადეს; სოციალურად დაუცველთათვის შეძენილ მედიკამენტებზე კი 100 ლარი და 08 თეთრი დაუხარჯავთ; კვების ხარჯი 495 ლარი და 16 თეთრია; 340 ლარია გახარჯული პრეზიდენტის უმცროსი ვაჟის, ნიკოლოზ სააკაშვილისთვის, რომელიც ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიაში სწავლობდა და ამ თანხით 2012 წლის აპრილისა და მაისის გადასახადი დაუფარავთ; კვების პროდუქტისა და სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო საქონლის შესაძენად გაწეული ხარჯი 409 ლარი და 96 თეთრია; სათამაშოების შესაძენად 87 ლარი და 20 თეთრი, ხოლო წიგნებისთვის 83 ლარი და 25 თეთრი დაუხარჯავთ.

ივანა მელაისთვის ძვირფასი სამკაული შპს „დაფიონში“ შეიძინეს. ოქროს ყელსაბამსა და კულონში 982 ლარი გადაიხადეს. შპს „გალერეა შარდენში“, პრეზიდენტის დავალებით, კიდევ ერთი ოქროს სამკაული, ტიხრული მინანქრის სამაჯური 3 550 ლარად შეიძინეს და მარიამ საჯაიას აჩუქეს.

2012 წლის აპრილში, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტიდან 1 190 ლარია გახარჯული. მაღაზია-სალონ „სამოსელ პირველში“, პრეზიდენტის უმცროს ვაჟს, ნიკოლოზ სააკაშვილს ჩოხა-ახალუხი და ქამარ-ხანჯალი უყიდეს. ხარჯების ჩამონათვალის მიხედვით, სვანური ჩოხა 250, ახალუხი 80, შარვალი 60, მხედრული ჩექმა 270, ქამარი 160, ხანჯალი 170, 10 ცალი ქილა 200 ლარი დაუჯდათ. ამავე მაღაზიაში, ნიკოლოზს ორი ხელნაკეთი თოჯინა-სუვენირი 700 ლარად უყიდეს.

ამ მასალებში ბევრი ისეთი ხარჯიც გვხდება, რომლითაც ექსპრეზიდენტის საპატიო სტუმრებისა და სხვადასხვა თანამდებობის პირების მგზავრობას ანაზღაურებდნენ. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტიდან ყიდულობდნენ ავიაბილეთებს, ტურისტულ საგზურებს და სხვადასხვა ძვირადღირებულ სასტუმროში ნომრებსაც სახელმწიფოს ხარჯზე ჯავშნიდნენ.

ნოვაცია

# SmartPAY – ლიბერთი ბანკის ახალი შეთავაზება

## 15 ივლისიდან, ბანკის მომხმარებლები 250-ლარიან სესხს მობილური ტელეფონით მიიღებენ

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**2014 წლის 15 ივლისიდან, ლიბერთი ბანკის ყველა მომხმარებელს საშუალება ეძლევა, 2 წუთში სწრაფი სესხი მიიღოს. ამისათვის, ყოველგვარი დამატებითი პროგრამის ჩატვირთვის გარეშე, ბანკში რეგისტრირებული საკუთარი ტელეფონის ნომრიდან უნდა აკრიფოთ *116# OK და ძირითად საბანკო ოპერაციებს მარტივად განახორციელებთ.**

საქართველოს საფინანსო ბაზარზე, SmartPAY ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ელექტრონული პროდუქტია. მას უკვე 200 000-ზე მეტი მომხმარებელი ჰყავს, რომლებიც თვეში 500 000-ზე მეტ ოპერაციას ახორციელებენ. ლიბერთი ბანკის მომხმარებლებზე რეგისტრირებული მობილური ტელეფონების ნომრებიდან *116# OK აკრეფით, უკვე მარტივად შეძლებთ, დღე-ღამის ნებისმიერ დროს, სწრაფ სესხზე განაცხადი გააკეთოთ. დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში, თანხას 50 წამის განმავლობაში მიიღებთ. ამავე პროდუქტის საშუალებით შეძლებთ შეავსოთ როგორც საკუთარი, ასევე სხვა აბონენტის მობილური ტელეფონის ბალანსი სრულიად უფასოდ; გადარიცხოთ თანხა მარტივად, დღე-ღამის ნებისმიერ დროს მხოლოდ მიმღების მობილური ტელეფონის ან პირადი ნომრის მითითებით; ერთი ოპერაციით გადაიხადოთ Sმარტივ კალათაში არსებული 7 სხვადასხვა პროვაიდერის დავალიანება; გადაიტანოთ თანხა Sმარტივი ანგარიშიდან eMoney საფულეზე და პირიქით.

SmartPAY-ს შესახებ, „ვერსიას“ ლიბერთი ბანკის პროექტების დეპარტამენტის უფროსი, **დავით ნინიძე** ესაუბრება:

— პროდუქტის მთავარი არსი ის არის, რომ ეს არის მობილური ბანკი ნებისმიერი თაობის ტელეფონისთვის. საჭირო არაა დამატებითი პროგრამული უზრუნველყოფის ან აპლიკაციის გადმოწერა ტელეფონზე. რაც მთავარია, ეს პროდუქტი მუშაობს ნებისმიერი ტიპის მობილურ ტელეფონზე, როგორც სმარტფონებზე, ასევე ძველი მოდელის. ლიბერთი ბანკის კლიენტებს ეს აძლევს იმის საშუალებას, აიღონ სესხი მომენტალურად. გარდა ამისა, შეამოწმონ ბალანსი ანგარიშებზე, თანხა გადარიცხონ ლიბერთი ბანკის სხვა კლიენტთან მხოლოდ მობილური ტელეფონის ან პირადი ნომრის საშუალებით და შეავსონ, როგორც საკუთარი, ასევე სხვა პირის მობილური ტელეფონის ბალანსი. ზოგადად, ეს საკმაოდ კონკურენტუნარიანი პროდუქტია, რადგან საკმაოდ მარტივი და იაფია.

**— რა რაოდენობის სესხის მიღებაა შესაძლებელი მობილური ტელეფონის საშუალებით?**

— ლიბერთი ბანკის მომხმარებლები ახალი პროდუქტის საშუალებით, მობილური ტელეფონიდან მიიღებენ სწრაფ სესხს 250 ლარის ოდენობით. სესხი ერთთვიანია. მის მისაღებად საჭიროა, ტელეფონის მენიუში შესაბამისი პუნქტი მიუთითოთ. ამის შემდეგ მიიღებთ დეტალურ ინსტრუქციას, რა, როგორ გააკეთოთ. ყველა ტრანზაქციულ ოპერაციაზე, საჭიროა მომხმარებელმა საკუთარი პინკოდი შეიყვანოს, რაც Sმარტივის რეგისტრაციის დროს მიენიჭა. ამის შემდეგ სესხის მიღებასაც შეძლებს. დეტალური ინფორმაციის ნახვა შეგიძლიათ სპეციალურ ვებ-გვერდზე smartpay.ge, მაგრამ პროცედურა ასეთია: აუცილებელია, ლიბერთი ბანკში ანგარიში გახსნათ, რომელზეც სესხი უნდა მიიღოთ. სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით კლიენტი გადამოწმდება და 2 წუთში, მოკლე ტექსტური შეტყობინებით, მიიღებთ პასუხს, დამტკიცდა თუ არა სესხი. დადებითი პასუხის შემთხვევაში, თანხა ავტომატურად ირიცხება ლიბერთი ბანკის მომხმარებლის ანგარიშზე.

**— 250-ლარიანი სესხი გათვლილია ახალგაზრდა მომხმარებლებზე, ან საშუალო ფენაზე?**

— 250-ლარიანი სესხი მათზეა გათვლილი, ვისაც თანხა მომენტალურად სჭირდება. ბევრი ვებ-გვერდი სთავაზობს მომხმარებელს სწრაფ სესხს. ჩვენი პროდუქტი ამგვარი შეთავაზებების ალტერნატივაა. ლიბერთი ბანკის მომხმარებლებს სხვადასხვა ვებ-გვერდებზე რეგისტრაციის გავლა არ დასჭირდებათ. საჭიროა მხოლოდ მობილური ტელეფონი და ბანკში ანგარიში.

**— ლიბერთი ბანკის ახალი პროდუქტი იმიტომ შეიქმნა, რომ საქართველოს საფინანსო ბაზარზე მომრავლებული ორგანიზაციებისთვის კონკურენცია გაგეწიათ?**

— ლიბერთი ბანკის რესურსებიდან გამომდინარე ჩვენი მომხმარებლისთვის მოსახერხებელი პროდუქტი შევქმენით. ზოგადად, ეს პროდუქტი დეკემბრიდან, მხოლოდ „მაგთის“ ქსელში გავუშვით — „მაგთის“ აბონენტებს, მობილური ტელეფონით, 100-ლარიანი სესხის მიღება შეეძლოთ. იმის გამო, რომ




ეს პროდუქტი სამივე მობილურ ოპერატორში — „მაგთიში“, „ჯეოსელსა“ და „ბილაინში“ ჩავრთეთ, გადავწყვიტეთ, სერიოზულად გაგვეპიარებინა და სესხის მოცულობაც გაგვეზარდა. ანუ, ახალი პროდუქტი რომელიმე ორგანიზაციის თუ ვებ-გვერდის კონკურენციის მიზნით არ შეგვიქმნია, უკვე არსებული პროდუქტი გავაუმჯობესეთ. მეტიც, სამომავლოდ ამ პროდუქტის დიფერენცირებას და რანჟირებას ვაპირებთ — ლიბერთი ბანკის მომხმარებელს საშუალება ექნება, აირჩიოს ნებისმიერი სახის სესხი და გამორიცხული არაა, სესხის მოცულობა გავზარდოთ.

**— როგორ უნდა დაფაროს ლიბერთი ბანკის მომხმარებელმა 250-ლარიანი სესხი?**

— რამდენიმე ვარიანტი გვაქვს: შესაძლებელია, ერთ თვეში მობრძანდეთ ბანკში და გადაიხადოთ ნაღდი ფულით, „ფეიბოქსის“ აპარატებზე Sმარტივი ბარათზე თანხა შეიტანოთ ან თქვენს ანგარიშზე გადარიცხოთ და ასე დაფაროთ სესხი. გარდა ამისა, სესხის „პროლონგაციასაც“ გთავაზობთ — თუ ერთ თვეში სესხის მთლიანად დაფარვა არ გსურთ, საკომისიოს გადაიხდით და კიდევ ერთი, ან რამდენიმე თვით გადაავადებთ.

**— საქართველოში მცხოვრები პენსიონერებიც ლიბერთი ბანკის კლიენტებად ითვლებიან, ისინი შეძლებენ 250-ლარიანი სესხის აღებას?**

— არა, ეს პროდუქტი მხოლოდ არასაპენსიო სეგმენტზეა გათვლილი. პენსიონერებისთვის სხვა პროდუქტი გვაქვს, რომლითაც ისინი დიდი ხანია სარგებლობენ.

# ელჩზე მეტი



## (ციკლიდან „დროის იეროგლიფები“)

საიუმოროდ, სახუმაროდ, მთლად სალაღობოდაც გადაიქცა ეს „მეტი“.

ნატო-ს წევრობა კი არის ოცნების მხარე და აღთქმული ქვეყანა, მაგრამ მაპ-ის მიღება უფრო მეტია, და თუ მაპი-ც არ გიბოძეს და რაღაც გაურკვეველი „სანაცვლო“ შემოგთავაზეს — ეს კიდევ უფრო მეტი, და თუ ის „სანაცვლოც“ სანატრელი გაგიხდა — ეს ხომ მეტია და მეტზეც მეტი.

იყო დრო, როდესაც კომუნიზმის აღაჟღაჟებული მწვერვალები ცხადდებოდა ოცნების მხარედაც და აღთქმულ ქვეყნადაც, მაგრამ მერე გადაწყვეტდნენ, რომ კომუნიზმზე მეტად მიეჩნიათ განვითარებული სოციალიზმი, განვითარებულ სოციალიზმზე მეტად კი — სოციალიზმი, რომლის წიაღშიც ვტრიალებდით...

* * *

ისე მართლაც ძალზე საგულისხმო მოვლენაა ეს „მეტი“ — მისი სოციალური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და გნებავთ ფილოსოფიური ასპექტები.

მისი ეს უაღრესი ტევადობა და მრავალმხრივობა რომ არა, ვერც ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთა ფენომენსა და რაობას ჩავწვდებოდით ჯეროვნად და ვიკმარებდით იმ ზედაპირულ აღთქმას, რომლის მიღმაც არის, რაც არის. აგერ თუნდ ახლაც, ამ წამს რომ გადართოთ ერთი ტელეარხი მეორეზე, მეორე — მესამეზე, მესამე — მეოთხეზე... ყველგან ბატონი რიჩარდ ნორლანდის სახე შემოგანათებთ, ამა თუ იმ მოვლენას რომ აფასებს ან შენიშვნას გამოთქვამს.

და ეს იმის მიუხედავად, რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი მოხდა ან ხდება საქართველოში თუ ნაკლებ მნიშვნელოვანი, თუ სულაც უმნიშვნელო;

და ეს იმის მიუხედავად, ეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამბავი ან აქცია რაიმეთი უკავშირდება თუ არა ამერიკის შეერთებულ შტატებს — ძალიან, ნაკლებად თუ... სრულიადაც არა.

ბატონ ნორლანდს უნდა დავეკითხოთ.

ბატონ ნორლანდს უნდა დავაზუსტებინოთ.

ბატონი ნორლანდისაგან უნდა შევიტყოთ ჩვენი შემდგომი მოქმედების სქემაც და გეზიც.

შევაწუხოთ... შევაწუხოთ... ულმერთოდ შევაწუხოთ...

შესაძლოა კიდეც სიამოვნებდეს ამგვარი შეწუხება, შესაძლოა უკვე ძალიანაცაა გაბეზრებული, მაგრამ როგორც ოჯახში აღზრდილ კაცს შეშვენის, არ იმჩნევს და რჩევასა თუ შენიშვნას არ გვამადლის.

მაგრამ ჩვენ რა გვრჯის საიმისოდ, რომ მის გარდა ლამის ვერავის და ველარაფერს ვხედავთ?

— ბატონო ნორლანდ, უნდა აღდგეს თუ არა სამართლიანობა?

— ბატონო ნორლანდ, რას ბრძანებთ ანტიდისკრიმინაციულ კანონზე?

— ბატონო ნორლანდ, როგორ უნდა გადანაწილდეს სახელმწიფოებრივი უფლებანი საქართველოს პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის?

— ბატონო ნორლანდ, სად უნდა იყოს საქართველოს პარლამენტის შენობა — ქუთაისში თუ თბილისში?

— ბატონო ნორლანდ, რას ბრძანებთ პროკურატურის მუშაობაზე?

— ბატონო ნორლანდ, რას ბრძანებთ სასამართლო სისტემაზე?

— ბატონო ნორლანდ, რას ბრძანებთ სასჯელაღმსრულებელ დაწესებულებათა მოწესრიგებაზე?

— ბატონო ნორლანდ, რა ეშველება ჩვენს „დინამოს“?

— ბატონო ნორლანდ, რომელ ქვეყნებთან რა ურთიერთობა უნდა გვქონდეს?

— ბატონო ნორლანდ, ღირს თუ არა ახლო წარსულის ქექვა?

— ბატონო ნორლანდ, მიწის ხვნა-თესვას ადრეულ გაზაფხულზე შევუდგეთ, კიდევ უფრო ადრე თუ სულაც ზაფხულში სჯობს?

— ბატონო ნორლანდ, ის ოჯახური კონფლიქტი რომ მოხდა, რას ურჩევდით?

— ბატონო ნორლანდ, ხილს მივანიჭოთ უპირატესობა თუ ბოსტნეულს?

— ეკლესიის გუმბათი ჩამოიქცა და რა ვიღონოთ, ბატონო ნორლანდ?

— დიდ სიცხეებს ხომ არ დაიჭერს ზაფხულში, ბატონო ნორლანდ?

— ბატონო ნორლანდ, ადრე ხომ არ დაგვიზამთრდება?

— ხვალ იწვიმებს, ბატონო ნორლანდ?

— ბატონო ნორლანდ, კაშხლების მშენებლობაზე რას გვირჩევთ, მართლა ასე სამძიმო იქნება ჩვენი ქვეყნისათვის რაღაც ორიოდე სოფლის ჩაძირვა წყალში?

— ბატონო ნორლანდ, ბაგრატის ტაძრის რესტავრაციაზე რას ბრძანებდით?

— ვითომ მართლა ძველთაძველია საყდრისის მაღარო, ბატონო ნორლანდ?

— ბატონო ნორლანდ...

— ბატონო ნორლანდ...

— ბატონო ნორლაააააააანდ!..

დაუზარელი ჩანს, ძალზე დაუზარელი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი, ბუნებითაა ასეთი, აღზრდით თუ მოვალეობის შეგნებით, ჯერ არცერთი ჟურნალისტი უარით არ გაუსტუმრებია და არც ის წამოცდენია: ამის თაობაზე კი რა მოგახსენოთო...

თუმც რატომ უნდა წამოსცდენოდა — ალბათ ყველაფერი ჩინებულად და ძირისძირობამდე მოეხსენება და...

მარტოოდენ ელჩი რომ იყოს, ამდენს როგორ გაწვდებოდა, მაგრამ ბატონი ნორლანდი ელჩზე მეტია — და მგონი კიდევ უფრო მეტიც — და ყველაფერზე მოსაზრების გამოთქმა მის უფლება-მოვალეობებში თავისთავად იგულისხმება.

ეს ყველაფერი კარგი და პატიოსანი, მაგრამ მისი უთვალავი რჩევა-დარიგებიდან და შენიშვნა-კომენტართაგან მკაფიო აზრის გამოტანა ზოგჯერ ცოტა არ იყოსდა ხომ არ... ძნელდება?

განა ასეთივე რჩევებსა და კომენტარებს არ ურიგდება დელფოს ორაკული მისკენ დაუსრულებელ ნაკადებად დაძრულ ხალხს?

მინიშნებებზე აგებულს, ბუნდოვანებაში გახვეულსა და სიმბოლო-მეტაფორებით გაწყობილს.

ეს კი ნიშნავდა, რომ ყველა ადამიანი თავისებურად იგებდა დელფოს სამისნოდან გამომავალ ხმას, თავისებურად გაიაზრებდა და თავისას ითვისებდა. თუ დადასტურდებოდა ის რჩევა-კომენტარი, ხომ აღფრთოვანდებოდნენ და აღფრთოვანდებოდნენ ორაკულის წინასწარმეტყველებით, თუ არ გამართლდებოდა და... მაინც ემადლიერებოდნენ — ეს ჩვენ ვერ ჩავწვდით მისი ნათქვამის სიღრმეს, თორემ თვითონ ხომ ყველაფერი და ყოველმხრივ გვამცნოო.

ეს ადამიანური ფსიქოლოგიაა, ბატონ ნორლანდსაც რომ არ აკლია მადლიერნი და კვლავაც და კვლავაც ასე დარჩება ქართველ ჟურნალისტთა გაუთავებელ ალყაში მოქცეული, ვიდრე ელჩობის ვადა ამოეწურება და ახალ ელჩს მოგვივლენენ... რასაკვირველია, იმასაც მეტს და გაცილებითაც უფრო მეტს, ვიდრე ელჩობაა.

და ახლა ის დაგვარიგებს და არც შენიშვნებს მოგვაკლებს, ჩვენი კანონმდებლობა როგორ გადავახალისოთ, როგორ ვხნათ და ვთესოთ, სახლები როგორ ავაშენოთ, სამოსი როგორ მოვირგოთ, დანა-ჩანგალი როგორ დავიჭიროთ, ცოლ-ქმარი როგორ მოვარიგოთ, ეკლესია-მონასტრებს რა ვუყოთ, კიდევ რამდენი სოფელი შეიძლება ჩავძიროთ წყალში, ქართული მიწების გაყიდვას უცხოელებზე სადღაც მაინც თუ უნდა გამოუჩნდეს საზღვარ-სამანი, საიდან დავიწყოთ საქართველოს ისტორია, საერთოდ ვართ თუ არა სახელმწიფო, რას უნდა ველოდეთ ხვალ — თოვლსა თუ წვიმას, წვიმასა თუ მზეს, მზესა თუ მზის დაბნელებას?!.

* * *

ის კი გავიგეთ თავის დროზე, კომუნიზმზე მეტი განვითარებული სოციალიზმი რომ იყო, და განვითარებულ სოციალიზმზე მეტი — სოციალიზმი, მაგრამ ისე დაინგრა საბჭოთა იმპერია და ისე გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, სამუდამოდ ბურუსით მოცული დარჩა, იმ ელვისებური ნგრევის ჟამს ჯერაც სოციალიზმში ვიმყოფებოდით თუ უკვე განვითარებულ სოციალიზმში გვქონდა შედგმული ცალი ფეხი მაინც.

თუმც... სამუდამოდ ბურუსით მოცული რატომ?

განა აგერ, ჩვენს გვერდით არ გვეგულება დაუზარელი კაცი, ვინც ამ ბუნდოვანებასაც თავისებურად გაგვიფანტავს?

— ბატონო ნორლანდ... ბატონო ნორლანდ... ბატონო ნორლაააააააანდ!..

*როსტომ ჩხეიძე*



# მთავრობამ პატრიარქის მოწონებული იდეა დაბლოკა?

## დამოუკიდებელი ექსპერტი კონსტანტინე მჭედლიშვილი მლეთა-კობის გვირაბის მშენებლობის გაჩერებას დანაშაულად და სტრატეგიულ შეცდომად მიიჩნევს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**ახალი ხელისუფლება მეტ-ნაკლებად „დაძველდა“ და არგუმენტი, ეფექტურ საქმიანობაში „ოცნებას“ ხელს ნაციონალური მოძრაობის „ნარჩენები“ უშლიანო, აღარ მუშაობს. რამდენიმე გაჩერებული მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტიდან ერთ-ერთზე „ვერსიას“ დამოუკიდებელი ექსპერტი, პროფესორი კონსტანტინე მჭედლიშვილი ესაუბრა, რომელიც რამდენიმეკაციან ჯგუფთან ერთად, ინფრასტრუქტურის მინისტრთან შეხვედრას აპირებს.**

საქმე მლეთა-კობის გვირაბის მშენებლობას ეხება, რაზეც საუკუნენახევარია მსჯელობენ, მაგრამ საშველი არ დაადგა. გვირაბის აშენება ჯერ კიდევ 1840-იან წლებში ანუ მაშინ იგეგმებოდა, როცა თბილისსა და ვლადიკავკაზს შორის ბორბლიანი ტრანსპორტის მიმოსვლა დაიწყო. 1970-იანებში პროექტზე კომუნისტებიც ბჭობდნენ, მაგრამ ლაპარაკი საქმედ არც ამჯერად იქცა; ბოლოს, 2012 წლის 9 აპრილს, მიხეილ სააკაშვილი ყაზბეგში ჩავიდა და განაცხადა, მლეთა-კობის გვირაბის მშენებლობა უნდა დავიწყოთ, „ყაზბეგი თბილისის გარეუბანი გახდება“ და ეს „თბილისზე მიბმული საოცრება“ იქნებაო. პროექტის დაწყებას სააკაშვილი 2012 წლის შემოდგომაზე აპირებდა, მაგრამ უფრო დიდი „საოცრება“ მოხდა — საპარლამენტო არჩევნებზე ნაციონალები დამარცხდნენ. ასე გადაიდო მესამედაც გვირაბის მშენებლობა. არადა, არსებობს საპროექტო გადაწყვეტილება, გაკეთებულია მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, ჩატარებულია გეოლოგიური კვლევები, დათვლილია სავარაუდო ხარჯი და რამდენიმე წელიწადში, თუკი მთავრობა ინებებს, ხევი ცივილიზაციას პირველივე თოვიდან ნახევარი წლით აღარ მოსწყდება. როგორც **კონსტანტინე მჭედლიშვილი** ამბობს, თავის დროზე, პროექტი პატრიარქმაც მოიწონა, თუმცა მთავრობა გვირაბის მშენებლობის დაწყების სავარაუდო დროსა და დეტალებზე არაფერს ამბობს: **„საქართველოში არაერთი ადგილია დაცლილი — პირიქითა ხევსურეთი, თუშეთი, სტეფანწმინდა... პრობლემის გადასაჭრელად მლეთა-კობის გვირაბის მშენებლობა აუცილებელია. იდეა, რამდენიმე წლის წინ მიხეილ სააკაშვილმა გაახმოვანა. საქმეში პატრიარქიც ჩაერია. წავიდა სააკაშვილი და ეს საკითხიც დღის წესრიგიდან მოიხსნა“.** როგორც ექსპერტი აცხადებს, 9-კილომეტრიანი გვირაბის აშენებით რამდენიმე ახალ კურორტსა და, წელიწადის დროების მიუხედავად, ხევში შეუფერხებელ მიმოსვლას მივიღებთ: **„ხევი საქართველოს ერთ-ერთი სერიოზული ფორპოსტია, იქვეა საზღვარიც და ამ ტერიტორიის ბოლომდე დაცლა, გაუკაცრიელება ქვეყნის წინაშე უზარმაზარი დანაშაული და დიდი სტრატეგიული შეცდომაა! გარდა ამისა, როცა ეს გვირაბი გაკეთდება, ხევში გუდაურის ტიპის 3-4 სოფელიც გაშენდება — იქაურობა სამთო-სათხილამურო კურორტებისთვის არაჩვეულებრივია. პროექტი ისტორიულ ხევს გამოაცოცხლებს და დანარჩენ საქართველოს ნახევარი წლით აღარ მოწყდება. რაც შეეხება ხარჯს, ერთი გრძივი მეტრი 2 000 დოლარი დაჯდება, 9-კილომეტრიანი გვირაბისთვის კი 180 მილიონი დოლარია საკმარისი. ხარჯის ერთბაშად გაღება აუცილებელი არაა. სწრაფი ტემპებით რომ ვიმუშაოთ და 180 მილიონი 5 წელიწადზე გადავანაწილოთ, წელიწადში, 36 მილიონი დაგვჭირდება. გზების დეპარტამენტი ყოველწლიურად, დაახლოებით, 500 მილიონ ლარს ისედაც ხარჯავს. ამ გვირაბისთვის საჭირო წლიური თანხა კი, მთელი თანხის მერვედს შეადგენს. ასე რომ, ამ პროექტის განხორციელება შეუძლებელი არ არის“.**

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ხაშური-ზესტაფონის შემაერთებელი გზაა. როგორც ირკვევა, იქ, სადაც გვირაბია საჭირო, არ ვაშენებთ, იქ კი, სადაც გზის გაყვანა უფრო მარტივია, მაინცდამაინც, გვირაბების მშენებლობით ვართ დაკავებული. კონსტანტინე მჭედლიშვილი აცხადებს, რომ ასეთი გორის უღელტეხილზე არსებული არასაჭირო გვირაბებია, რადგან ისე მაღლაა გაკეთებული, მთის წვერამდე ოციოდე მეტრიღაა დარჩენილი. ეს გვირაბები ექსპერტს ეკონომიკურად გაუმართლებელ პროექტად მიაჩნია ისევე, როგორც ხაშური-ზესტაფონის შემაერთებელ ვიწრო ხეობაში ოთხზოლიანი ავტობანის აშენება: **„ძირულას ვიწრო ხეობაში ოთხზოლიანი ავტობანის აშენება ძალიან ძვირი დაჯდება. ამ შემთხვევაში ნამდვილად გვჭირდება 2,5 კილომეტრიანი გვირაბი, რადგან არსებული 1 800-მეტრიანი ძალიან მოკლეა. მეორე გვირაბს პირველის პარალელურად რომ გავიყვანთ, ძველი შეცდომა აღარ უნდა გავიმეოროთ — პირველი გვირაბის სიგრძის შემცირებით, კილომეტრიანი, დიდაღმართიანი მონაკვეთი მივიღეთ, რომელიც ზამთარში მუდმივად მოყინულია. საერთოდ, იმ ტერიტორიაზე ურთულესი და მრავალფეროვანი გეოლოგიაა, ამიტომ მშენებლობა სხვადასხვა ტექნოლოგიით უნდა მოხდეს. გამოდის, მთელი გზა ესტაკადებით, მაღალი ჭრილებით, მოკლე გვირაბებითა და სხვა ხელოვნური ნაგებობებით უნდა „ავილოთ“, რაც დარტყმას ეკოლოგიას მიაყენებს; გარდა ამისა, ძირულას ხეობა ვიწროა, იძულებულები გავხდებით, საავტომობილო მაგისტრალი, ძირითადად, ძირულას კალაპოტში გავატაროთ და, დაახლოებით, ისეთ გზას მივიღებთ, როგორც ზაჰესში, მტკვრის კალაპოტში გვაქვს. მტკვრისგან განსხვავებით, ძირულა მთის მდინარეა, რომელსაც არათანაბარი ფსკერის მქონე დიდი ქანები აქვს, ერთმანეთს ცვლის მონაკვეთები, სადაც ნაპირი ირეცხება და ნარეცხი ირიყება. ძირულას უცებ მოვარდნა ახასიათებს, ამიტომ ადგილზე მკვრივი, მყარი ფუნდამენტი უნდა გაკეთდეს, რაც უსაფრთხოების 100%-იანი გარანტია მაინც ვერ იქნება. გამოსავალი ასეთია: უნდა მოხდეს არსებული გზის რეკონსტრუქცია, გზის ორი ზოლი ავტობანისთვის დარჩეს, ზესტაფონის მიმართულებით და ადგილობრივებისთვის მესამე შემხვედრმა ზოლმა გაიაროს; მეორე შემხვედრი ნაკადი, სურამი-ხარაგაულის გზის მიმართულებით შეგვიძლია ქუთაისისკენ გავატაროთ და მესამე ზოლი, შემხვედრი მოძრაობისთვის, იქაც დავამატოთ. ამ შემთხვევაში, გვირაბი აღარ დაგვჭირდება, რადგან სურამიდან ჩხერიმელას ხეობაში გადასვლა რკინიგზის ძველი ხაზითაც შეიძლება“.**



პატიმარი №0578

# ოქროს კონტრაბანდას შეწირულები

**იმის მიუხედავად, რომ წინა ხელისუფლება ამტკიცებდა, საქართველოზე არც ნარკოტიკი გადის და არც კონტრაბანდაო, რეალობა სხვაგვარი იყო. საქართველოდან თურქეთის გავლით ნარკოტიკიც გადიოდა და კონტრაბანდული ძვირფასი ლითონიც, რომელიც, ძირითადად, რუსეთიდან შემოჰქონდათ. ამ ტრანზიტზე კონკრეტული ადამიანები მილიონობით დოლარს შოულობდნენ და ცხადი იყო, ხელისუფლების წარმომადგენლის „კრიშის“ გარეშე, ამას ვერავინ გაბედავდა...**

2009 წლის გაზაფხული იდგა, როცა ლევან ლ-ს კარი კლასელმა დათომ შეაღო. გიორგი კ. და გოგა ხ. სავარძელში ისხდნენ და ვისკის წრუპავდნენ, ლევანი კი თავის პიტბულს ეთამაშებოდა. მოსულმა, მოკითხვის შემდეგ მორიდებით თქვა, ლევან, შენთან საქმე მაქვს და იქნებ სხვა ოთახში გავიდეთო.

— ან აქ იტყვი, ან არ მაინტერესებს, — პიტბულისთვის თავი არ დაუნებებია, ისე თქვა მასპინძელმა.

— კარგი, შენს იქეთ გზა მაინც არ მაქვს. რვა თვეა, რუსეთიდან მანქანა ჩამოდის, საქართველოს ტერიტორიაზე მე ვჯდები და თურქეთში გამყავს, იქ ბერძენი კაცი მხვდება, იმას ვაბარებ და ამ საქმეში ორი ათას დოლარს მაძლევენ. ბოლო ოთხი რეისის ფული არ მოუციათ და როგორც გავიგე, ჩემს ნაცვლად სხვა მძღოლი აიყვანეს. ეგ ფული ამაღებინეთ და ნახევარს მოგცემთ, ცოლი მყავს ცუდად, — სხაპასხუპით ჩაამთავრა მოსულმა.

— ასეთი რა მანქანებია, რომ მხოლოდ საქართველოს გავლაზე ორი ათასს გაძლევენ? — გაოცდა ლევანი.

— არ ვიცი. მგონი რაღაც გადააქვთ. რუს ტიპს გადმოყავს საზღვარზე და უკან ბრუნდება, მე გადამყავს თურქეთში და უკან მოვდივარ. სხვა არაფერი ვიცი. საბჭოთა მანქანებია, ძირითადად „ნოლშესტი“, — დაამატა მოსულმა.

— ფულს ვინ გაძლევს?

— ანგარიშზე მერიცხება. იტალიაში ჩვენებური ბიჭი ცხოვრობს, ის დამიკავშირდა ამ საქმეზე. ახლა მეუბნება, რაღაც აირიაო, მაგრამ არაფერი არეულა, რუსს ისევ ჩამოჰყავს, უბრალოდ მე აღარ გადამყავს, სხვა მძღოლია. მართლა, იტალიიდან ფულს ვინც მირიცხავს, შენც იცნობ — ნოდარა ხომ გახსოვს? ჩვენი უბნელი...

— კარგი დავით, წადი და თუ რამეს გავარკვევ, დაგირეკავ. მანქანები რომელ დღეებში და რა დროს მოჰყავთ ლარსიდან?

— სამშაბათს და შაბათს მაქსიმუმ 3 საათზე იქ არის ის რუსი. ქართველი ბიჭი ხვდება, უხმოდ აძლევს გასაღებს და მიდის. ტრანზიტია ჩვეულებრივი, მანქანა საღამოს უკვე ბათუმშია და თურქეთის მხარეს ის ბერძენი დგას...

— შეგეხმიანები, როგორც კი რამეს გავარკვევ, — უთხრა ლევანმა და მეგობარი გააცილა, შემდეგ ოთახში შემობრუნდა და...

— ეგ ნოდარა სამჯერაა „ნასროკალი“. ყველაფერზე „სპასობნია“. რაღაც სუფთად არ არის, „წამალი“ გააქვს სავარაუდოდ და ეს ბოთე ჩააჩოჩა. დღეს კვირაა, სამშაბათს ლარსის გამშვებ პუნქტთან ვაბირჟავებთ, — მართლაც, სამშაბათს, სამივე, ლარსის გამშვებ პუნქტთან იყო.

სავარაუდო მანქანა მალე გამოჩნდა, საზღვარი გადმოკვეთა, აქეთა მხარეს მომლოდინე ბიჭს გასაღები მისცა და უკან გაბრუნდა. დამხვდური მანქანაში ჩაჯდა, დაქოქა და სამეულიც უკან მიჰყვა.

— არ იცის, რა, სად დევს, არ შეუმოწმებია, ჩვეულებრივი „შოფერია“, მიყავს, მოყავს, — შენიშნა გოგამ.

მანქანას ბათუმამდე ჩაჰყვნენ და შემდეგ თბილისში დაბრუნდნენ. შაბათს უკვე სამი მანქანით იყვნენ ლარსის გამშვებ პუნქტთან, მანქანას დაედევნნენ. რამდენიმე კილომეტრის შემდეგ „შემთხვევით“ 06-ს საბურავი დაეშვა და დახმარება უკან მიმავალმა გოგამ შესთავაზა. კურიერს უარი არ უთქვამს. საუბარში „გაარკვიეს“, რომ გოგაც ბათუმში მიდიოდა, გვერდიგვერდ სიარული გადაწყვიტეს. ერთ საათში გოგა და ახლადშეძენილი მეგობარი რესტორანში სადილობდნენ. გია და ლევანი კი გარეთ მდგარ მანქანას საფუძვლიან შმონს უტარებდნენ. მალე გოგა თავის მანქანაში ჩაჯდა, კურიერი — თავისაში და გოგას ტელეფონზე ლევანის ზარიც გაისმა: „ვერაფერი ვნახეთ. ან ძალიან კარგადაა დამალული, ან შეიძლება ზოგჯერ სუფთა მანქანას უშვებენ, კვალის არევის მიზნით“.

კურიერი ბათუმამდე მიაცილეს. გადაწყდა, რომ შემდეგ რეისზე ლევანი მანქანას თურქეთში გადაყვებოდა და იქაურ ამბებს გაარკვევდა. ასეც მოხდა. ლევანმა თურქეთიდან მეორე დღეს ამბავი ჩამოიტანა — მანქანით მინიმუმ თითო კილო ოქრო მიაქვთ ყოველ გატანაზე და იტალიაში გემით აგზავნიან. ბერძენი აზრზეა, რადგან როგორც კი მანქანასთან მარტო დარჩა, წინა „კრილოს“ ქვეშ „ატვიორტკით“ მოხსნა რაღაც და იქიდან პატარა ფუთა გამოიღო, დახედა და ისევ შეინახა. ოქროა, რადგან ძაღლებმა, რომლებიც წამლის ძებნაზე არიან დაგეშილები, მანქანა მშვიდად გაატარეს...

— იქნებ ოქრო არაა და ბრილიანტი, ურანი, ვერცხლისწყალი... იყოს.

— ეგ ჩემი ვარაუდია. ის, რაც იქ დევს, ძვირია. შემდეგ რეისზე მანქანა მიგვაქვს თურქეთში. იქ უფრო იოლია, — თქვა ლევანმა. მეგობრებმა გეგმა რამდენიმე საათში დასახეს.

ერთი კვირის შემდეგ მანქანა ლარსიდან გოგამ გამოაცილა, საზღვარზე გია გადაჰყვა. ლევანი კი უკვე იქ იყო და ბერძენს არ შორდებოდა. ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა, ბერძენი კურიერი ლევანმა ერთი დარტყმით გათიშა, მანქანას სამალავი უნახა და...



— ოქროა, ოღონდ თითქმის სამი კილო.

ლევანი და გია თურქეთში მინიმუმ ერთი კვირა დარჩებოდნენ. ადრევე დათქვეს.

ამ დროს საქართველოში საოცრებები დაიწყო. ლევანის კლასელი დათო დააკავეს. მან აღიარა, რომ მანქანის ამბავი ლევანს და კიდევ ორ უცნობს უამბო. ვინ იყვნენ ის ორი უცნობი, დათო ვერ ამბობდა, მაგრამ გია სურათზე ამოიცნო, გოგას სურათი კი სამართალდამცავებს არ ჰქონდათ. გიაზე და ლევანზე ძებნა გამოცხადდა. გოგამ გაიგო, რომ საქმეს მისი ძველი ნაცნობი იძიებდა და სახლში ესტუმრა.

— ლადო, რა ღირს ეგ საქმე? რამდენი გინდათ, რომ ბიჭებს ძებნა მოეხსნას? ხომ იცი, სისულელეს აბრალებენ, — მშვიდად უთხრა გამომძიებელს.

— ეგ სისულელე დააბრუნონ და პირობითს ვაკმარებ. სხვა შემთხვევაში შანსი არ აქვთ, — უთხრა ლადომ და წაღებული ოქრო გოგამ ორ კვირაში პირადად დაუბრუნა გამომძიებელს. ლევანი და გია საქართველოში დაბრუნდნენ, თუმცა...

* * *

სამი ძმაკაცი ზონის ეზოში სეირნობდა, როცა ლევანმა თვალი ახლადმოყვანილ პატიმრებს გადაავლო და კლასელი იცნო. ის აცახცახებული მივიდა ბიჭებთან — დედას გეფიცებით, მეც მომატყუეს, რა უნდა მექნა, რამდენი რეისიც მქონდა გადატანილი, იმდენი დამითვალეს და 16 წელი მომცეს, არაფერ შუაში ვარ.

— არა უშავს, ჩვენ 2-2 წელი გვაკმარეს, აგერ გოგა კი სხვა საქმეზეა და ლიანდაგივით სროკი აქვს, — გაიღიმა ლევანმა. როცა დათოს დაშორდა, მეგობრებს უთხრა — გავიგე, იტალიაში სად ცხოვრობს ნოდარა და რომ გავალთ, ერთად დავადგეთ. თურმე ოქროს უნიტაზი აქვს სახლში და იმ უნიტაზში უნდა ჩავრეცხო. ციხე სამივემ მალე დატოვა, თუმცა იტალიაში წასვლას თავი ჯერ ვერ დაადგეს. ნოდარა კი უკვე იტალიაში კი არა, ჩეხეთში ცხოვრობს და ოქროს უნიტაზიც პრაღაში წაუღია.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | | | | 9 | | 8 |
| | 2 | 8 | | 5 | 1 | | | |
| 4 | | 3 | 9 | | | | | |
| | | | | | | 2 | | 1 |
| | 6 | | | | | | 3 | |
| 3 | | 2 | | | | | | |
| | | | | | 8 | 1 | | 3 |
| | | | 1 | 7 | | 5 | 4 | |
| 5 | | 4 | | | | 7 | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | 3 | | | 1 | | | 7 |
| | 5 | 1 | 4 | | | 6 | 3 | |
| | | | | 5 | | | | |
| | 4 | | | | | | 7 | 6 |
| | | | 7 | 8 | 9 | | | |
| 7 | 2 | | | | | | 9 | |
| | | | | 1 | | | | |
| | 8 | 4 | | | 2 | 3 | 5 | |
| 6 | | | 5 | | | 7 | 4 | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | | 7 | | | 3 | | |
| | 7 | | | 1 | | | | |
| | | | 3 | | 8 | 7 | | 5 |
| | | | | | | | 3 | 4 |
| | 8 | 7 | | 6 | | 5 | 9 | |
| 5 | 4 | | | | | | | |
| 8 | | 4 | 2 | | 7 | | | |
| | | | | 8 | | | 5 | |
| | | 2 | | | 6 | | | 3 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | 1 | 2 | | | | 6 | |
| | | | | 1 | 7 | | 5 | |
| | | | | | | 3 | | 9 |
| | 2 | | | 8 | 3 | | | |
| 1 | | | | | | | | 3 |
| | | | 7 | 5 | | | 9 | |
| 6 | | 9 | | | | | | |
| | 4 | | 5 | 7 | | | | |
| | 3 | | | | 9 | 1 | 4 | |

# ყველაზე ექსტრავაგანტული რესტორნები







პოპულარულმა გამოცემამ Forbes კიდევ ერთხელ განაახლა მსოფლიოს ყველაზე ექსტრავაგანტული რესტორნებისა და კერძების რეიტინგი. ჟურნალის სიაში პირველ ადგილზე ნიუ იორკელი მზარეულის, დენიელ ბულუდის ხიზილალა აღმოჩნდა. ფრანგი შეფ-მზარეულის საფირმო „ოქროს ხიზილალის“ 50 გრამის გასინჯვა 860 დოლარი დაგიჯდებათ. მეორე ადგილზე კალიფორნიის ქალაქ იანტვილში მდებარე რესტორანი The French Laundry გავიდა. ამ დაწესებულების შეფ-მზარეული ტომას კელერი ცხრა კერძისგან ორ მენიუს ადგენს, რომელშიც ორი ერთნაირი ინგრედიენტი არ გამოიყენება და ამ სიამოვნების ღირებულება 240 დოლარია. რეიტინგის მესამე საფეხური „სულთნის ოქროს ტორტმა“ დაიკავა. მას სტამბოლის სასტუმრო Ciragan Palace Kempinski-ში დაგემოვნებთ — ამზადებენ ფრანგული ფქვილისგან ხილით, რომელიც წლების განმავლობაში იამაიკურ რომში ინახება, ასევე ვანილის მარცვლებით ფრანგული პოლინეზიიდან. ამ „ხელოვნების ნიმუშს“ საკვებადვარგისი 24-კარატიანი ოქროს მტვრით ფერავენ, მსურველებს კი ტორტში 1000 დოლარის გადახდა მოუწევთ.

სიაში შემდეგი სინგაპურში მდებარე ფრანგული რესტორანია, რომელსაც Les Amis ჰქვია. აქ განსაკუთრებული მენიუა — ყველა კერძის შემადგენლობაში თეთრი ტრიუფელი შედის, ფასი კი, ერთ კაცზე, 800 დოლარიდან იწყება. მეხუთეზე ფლერბურგერი — ბუტერბროდი აღმოჩნდა, რომელსაც ლას-ვეგასის რესტორან Fleur de Lys-ის შეფ-მზარეული იუბერ კელერი ამზადებს. ბუტერბროდის შემადგენლობაშია იაპონური მარმარილოსებრი საქონლის ხორცი, ტრიუფელი და ფუა-გრა. ფლერბურგერი 5 ათასი დოლარი ღირს, თუმცა ამავე თანხაში შედის 1195 წლის ფრანგული ღვინო Chateau Petrus-ის ბოთლიც.

მეექვსე ადგილზეა „ბელისიმა პიცა“, რომელსაც ნიუ-იორკის რესტორან Nino's-ში მოგართმევენ. მსურველს ის 1000 დოლარი დაუჯდება, თუმცა, დაგემოვნებისას არ ინანებთ, რადგან პიცას ხიზილალითა და ამერიკული ახალი ლობსტერებით „კმაზავენ“, ასევე მცირე რაოდენობით იაპონურ ვასაბისაც უმატებენ. შემდეგ ადგილზე გამოცემამ ამწეთი მოძრავი რესტორანი გაიყვანა. მისი დამაარსებელი ბელგიელი მეწარმე დევიდ გეისელსია. ვისაც ფული აქვს, გეისელსი სიამოვნებით ეწვევა ნებისმიერ ადგილზე თავისი „პორტატული“ რესტორნით. Forbes ასევე ურჩევს მკითხველს, პიკნიკი მოიწყონ კერძო კუნძულ მიუსტიკზე. აქ მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხვდებით, თუ კუნძულზე მდებარე ვილებიდან ერთ-ერთს დაიქირავებთ, პიკნიკზე კი შემწვარ ქათამს, ავოკადოსა და მანგოს სალათს, კუსკუსსა და რომის პუნშს მოგართმევენ.

შემდეგი საფეხური პარიზული რესტორნის L'Espadon შეფ-მზარეულის მომზადებულმა მაგიდამ დაიკავა. ამ დაწესებულებაში შეგიძლიათ ისეთი კერძები შეუკვეთოთ, როგორიცაა ხბოს შემწვარი ნეკნები ან საქონლის გულ-ღვიძლისგან მომზადებული ფუა-გრა, კარტოფილის პიურე ტრიუფელებით და კაკაო. რეიტინგის მეათე ადგილზე აღმოჩნდა კერძო სადილი შეფ-მზარეულ ლუი პუასგან. მათთვის, ვისაც არ სურს ფლორიდაში, კუნძულ ლითლ-პალმზე გამგზავრება, ადგილობრივი შეფ-მზარეული პუა სპეციალურად თქვენთვის, 10 ათას დოლარად (პლუს გზის ხარჯი), იქ მოგიმზადებთ სადილს, სადაც ინებებთ.

გამოცემის სიაში ბოლო ადგილი შანხაის შოპინგ-ცენტრში Three on the Bund სადილმა დაიკავა. ამ ცათამბჯენის ბოლო სართულზეა პატარა ოთახი, სადაც მხოლოდ ორი სტუმარი და ოფიციანტი ეტევა. კლიენტებს შეუძლიათ ნებისმიერი კერძი შეუკვეთონ შენობაში მდებარე ნებისმიერი რესტორნიდან და იმავდროულად, ქალაქის შესანიშნავი ხედითაც დატკბნენ.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 1 | 9 | 4 | 5 | 3 | 8 | 7 | 2 |
| 8 | 3 | 7 | 2 | 1 | 9 | 4 | 6 | 5 |
| 5 | 4 | 2 | 8 | 7 | 6 | 3 | 1 | 9 |
| 4 | 7 | 8 | 6 | 3 | 5 | 2 | 9 | 1 |
| 3 | 9 | 5 | 1 | 2 | 8 | 7 | 4 | 6 |
| 2 | 6 | 1 | 9 | 4 | 7 | 5 | 3 | 8 |
| 1 | 2 | 6 | 7 | 8 | 4 | 9 | 5 | 3 |
| 9 | 5 | 4 | 3 | 6 | 2 | 1 | 8 | 7 |
| 7 | 8 | 3 | 5 | 9 | 1 | 6 | 2 | 4 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 8 | 7 | 6 | 2 | 4 | 3 | 9 | 1 |
| 6 | 4 | 1 | 3 | 9 | 5 | 2 | 8 | 7 |
| 2 | 3 | 9 | 8 | 1 | 7 | 4 | 5 | 6 |
| 4 | 2 | 8 | 1 | 7 | 9 | 5 | 6 | 3 |
| 7 | 1 | 6 | 5 | 8 | 3 | 9 | 4 | 2 |
| 3 | 9 | 5 | 4 | 6 | 2 | 1 | 7 | 8 |
| 1 | 7 | 4 | 9 | 3 | 8 | 6 | 2 | 5 |
| 9 | 6 | 2 | 7 | 5 | 1 | 8 | 3 | 4 |
| 8 | 5 | 3 | 2 | 4 | 6 | 7 | 1 | 9 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 8 | 7 | 9 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 |
| 6 | 5 | 4 | 3 | 8 | 2 | 1 | 9 | 7 |
| 9 | 3 | 2 | 1 | 4 | 7 | 8 | 6 | 5 |
| 8 | 4 | 3 | 6 | 2 | 1 | 7 | 5 | 9 |
| 7 | 6 | 9 | 8 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 |
| 5 | 2 | 1 | 7 | 3 | 9 | 6 | 8 | 4 |
| 4 | 9 | 6 | 5 | 7 | 3 | 2 | 1 | 8 |
| 3 | 7 | 5 | 2 | 1 | 8 | 9 | 4 | 6 |
| 2 | 1 | 8 | 4 | 9 | 6 | 5 | 7 | 3 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 4 | 3 | 6 | 7 | 1 | 9 | 8 | 5 |
| 5 | 8 | 9 | 4 | 3 | 2 | 6 | 1 | 7 |
| 1 | 7 | 6 | 9 | 5 | 8 | 4 | 3 | 2 |
| 7 | 6 | 5 | 8 | 4 | 3 | 1 | 2 | 9 |
| 8 | 1 | 2 | 7 | 9 | 6 | 3 | 5 | 4 |
| 9 | 3 | 4 | 1 | 2 | 5 | 8 | 7 | 6 |
| 6 | 9 | 8 | 2 | 1 | 7 | 5 | 4 | 3 |
| 4 | 5 | 7 | 3 | 8 | 9 | 2 | 6 | 1 |
| 3 | 2 | 1 | 5 | 6 | 4 | 7 | 9 | 8 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 8 | 6 | 9 | 5 | 7 | 4 | 3 | 2 |
| 4 | 3 | 5 | 1 | 6 | 2 | 8 | 7 | 9 |
| 2 | 9 | 7 | 8 | 4 | 3 | 6 | 1 | 5 |
| 6 | 1 | 3 | 2 | 9 | 5 | 7 | 4 | 8 |
| 7 | 4 | 2 | 6 | 8 | 1 | 9 | 5 | 3 |
| 9 | 5 | 8 | 3 | 7 | 4 | 2 | 6 | 1 |
| 3 | 6 | 1 | 7 | 2 | 9 | 5 | 8 | 4 |
| 8 | 2 | 4 | 5 | 1 | 6 | 3 | 9 | 7 |
| 5 | 7 | 9 | 4 | 3 | 8 | 1 | 2 | 6 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 7 | 3 | 8 | 6 | 2 | 4 | 1 | 9 |
| 2 | 8 | 4 | 1 | 9 | 3 | 7 | 6 | 5 |
| 9 | 1 | 6 | 4 | 7 | 5 | 3 | 2 | 8 |
| 3 | 6 | 2 | 7 | 1 | 9 | 8 | 5 | 4 |
| 1 | 9 | 5 | 3 | 8 | 4 | 6 | 7 | 2 |
| 8 | 4 | 7 | 2 | 5 | 6 | 1 | 9 | 3 |
| 7 | 5 | 1 | 9 | 4 | 8 | 2 | 3 | 6 |
| 6 | 3 | 8 | 5 | 2 | 1 | 9 | 4 | 7 |
| 4 | 2 | 9 | 6 | 3 | 7 | 5 | 8 | 1 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 8 | 3 | 1 | 6 | 9 | 7 | 5 | 4 |
| 5 | 1 | 9 | 8 | 7 | 4 | 3 | 6 | 2 |
| 7 | 6 | 4 | 5 | 3 | 2 | 8 | 1 | 9 |
| 4 | 5 | 1 | 6 | 2 | 8 | 9 | 7 | 3 |
| 9 | 3 | 2 | 4 | 1 | 7 | 6 | 8 | 5 |
| 6 | 7 | 8 | 3 | 9 | 5 | 4 | 2 | 1 |
| 1 | 4 | 7 | 2 | 8 | 3 | 5 | 9 | 6 |
| 3 | 9 | 6 | 7 | 5 | 1 | 2 | 4 | 8 |
| 8 | 2 | 5 | 9 | 4 | 6 | 1 | 3 | 7 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 3 | 5 | 2 | 8 | 4 | 1 | 9 | 6 |
| 8 | 9 | 6 | 3 | 1 | 7 | 2 | 5 | 4 |
| 1 | 4 | 2 | 9 | 6 | 5 | 8 | 3 | 7 |
| 9 | 2 | 4 | 8 | 7 | 6 | 5 | 1 | 3 |
| 5 | 1 | 8 | 4 | 2 | 3 | 6 | 7 | 9 |
| 6 | 7 | 3 | 5 | 9 | 1 | 4 | 2 | 8 |
| 3 | 6 | 1 | 7 | 4 | 2 | 9 | 8 | 5 |
| 4 | 5 | 9 | 1 | 3 | 8 | 7 | 6 | 2 |
| 2 | 8 | 7 | 6 | 5 | 9 | 3 | 4 | 1 |

მე-10 გვერდი: 1. ჰედონია; 2. ემბოლია; 3. ოპტაცია; 4. ისტებლიშმენტი; 5. ჰექტორი; 6. ევკალიპტი; 7. ტონა; 8. რანდევუ; 9. ბატუტი; 10. ინბრიდინგი; 11. აცხა; 12. ბაცილა; 13. აკუნინი; 14. იდეალი; 15. ალსეკო; 16. გეა; 17. ატრიბუტი; 18. თეთნულდი; 19. ალი; 20. ვლადი; 21. ელცინი; 22. ორსკი; 23. ალაჰი; 24. თაბახი; 25. აშერი; 26. ჰინომარუ; 26. გროზნო; 28. ლეიდენი; 29. იოტი; 30. ერატო; 31. ტუსტეპი; 32. მუსტანგი; 33. ენა; 34, კილიტა; 35. თრია; 36. კერკი; 37. ორდენი; 38. ვაიო; 39. დუნსტი; 40. ნაია; 41. მოენე; 42. ფენა; 43. ილი; 44. ობი; 45. სტატია; 46. ური; 47. ტიან; 48. არუე; 49. ფანზა; 50. ტაიტი; 51. ინრო; 52. ჰანოი; 53. სილიო; 54. ბოა; 55. დაგომისი; 56. გოა; 57. სი; 58. ოუშენი; 59. ბრი.

მე-12 გვერდი: 1. ოქტეტი; 2. ქამელეონი; 3. ეკატერინე; 4. ავერსი; 5. ვარდენი; 6. რიხტერი; 7. ემბაზი; 8. გვრიტი; 9. თასი; 10. ბრეხტი; 11. ვალაბი; 12. ადმეტე; 13. სიტი; 14. ალგეთი; 15. ირისი; 16. ჰევეა; 17. არვე; 18. ნარდი; 19. მილი; 20. ბორის; 21. ადანი; 22. ხალიფა; 23. აშხაბადი; 24. შტაბი; 25. ნინია; 26. ეტი; 27. ფილიპ ლამი; 28. ლუხუმი; 29. კლიშე; 30. ამბრაზურა; 31. აილამა; 32. იკებანა; 33. ქუდი; 34. ხალა; 35. სპლიტი; 36. ლიმონარიუმი; 37. კულინარია; 38. იურისტი; 39. პრაიდი; 40. ბარაქა; 41. „მაპი“; 42 ბულიკა; 43. აბელი; 44. აგარაკი; 45. ბუი; 46. ბამბა; 47. დია; 48. გრაფი; 49. ომარ; 50. ლელო; 51. კაი; 52. დიანა; 53. ნანდუ; 54. კოდალა; 55. მზე; 56. აგიდელი; 57. სიმი; 58. აურა; 59. ავგია; 60. ზრო; 61. აიაზმა; 62. ტანა; 63. მაიმუნი; 64. მუ; 65, „ავეო“; 66. მოკასინი; 67. თმა; 68. კივი; 69. იდა; 70. ალმასი; 71. ემი; 72. გურუ; 73. მანონ; 74. ნუნუ; 75. სნო; 76. უმი; 77. ტურკუ; 78. დელ; 79. სპარტა; 80. პალომა; 81. რა; 82. აგნესა; 83. ტიარა; 84. ლავუაზიე; 85. კონან; 86. კიი.



1. მსუბუქი ვერანდებიანი შენობა ინდოეთში
2. დიდი იტალიელი არქიტექტორი
3. მზის საგალობელი რაჭაში
4. ჭადრაკის პარტიის შუა ნაწილი
5. უმაღლესი ნეტარება ბუდიზმში
6. უცოლოდ დაბერებული მამაკაცი
7. იგივეა, რაც ცვარი
8. ფასიანი ქაღალდი
9. მღვდლის სამოსელის ნაწილი
10. კოვბოური ფილმი
11. თვალის ფერადი გარსი
12. მთა წალკის რაიონში
13. უსინათლოთა შრიფტის ავტორი
14. მიცვალებულის გვამის დაწვა
15. თეატრალ. წარმოდგენ. საჭირო ნივთები
16. პოპულარული მელოდია, შლაგერი
17. რასისტული ორგანიზაცია კუკლუქს-...
18. ქალაქი ისრაელში
19. ველური კომში
20. ამერიკული ნიანგი
21. აიდაჰოს შტატის დედაქალაქი
22. ინდაურის ნაშიერი
23. ლეო ქიაჩელის „... აძბა“
24. მუსიკ. ნაწარმოების ფორმა
25. გასულ წელს ანუ ...
26. თბილისის უბანი
27. ბარსელონას ოპერის თეატრი
28. ინტერნეტ-ტელეფონი
29. საბავშვო თამაში
30. დაბალი და ფართო დივანი
31. ნიგერ. ვალუტა
32. ცუდი ამინდი
33. სოფელი და მდინარე ოჩამჩირის რაიონში
34. ნახევრად დამშრალი ზღვა აზიაში
35. ბასრწვერა საომარი იარაღი
36. გარეული ფრინველი
37. ქვეყანა დასავლეთ ევროპაში
38. სოფელი წალენჯიხის რაიონში
39. პარკოსანი მცენარე
40. ავსტრიელი პოეტი
41. ებრაელთა მღვდელი
42. ფეხბურთელი ... შირერი
43. ფუტკრის სახლი
44. ქიმიური ელემენტი
45. დიდი თევზსაჭერი ბადე
46. აშშ-ის პრეზიდენტი ... ობამა
47. ოპერა „... დი ლამერმური“
48. ესპანელი მწყემსების სიმღერა
49. რუსი მსახიობი მამაკაცი
50. უძველესი სომხური სამეფო
51. ბრაზილ. ფეხბურთელი
52. ტარზანის მაიმუნი
53. რთული სიტყვის წინსართი, ნიშნავს ყველაფრის მომცველს
54. სოფელი ქარელის რაიონში
55. თაგვის „ბინა“
56. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
57. ქალაქი რაჭაში
58. ქართული ანბანის V ასო
59. ამერიკ. ფსიქოლოგი ... კარნეგი
60. პირველი სიტყვა ქართულ ზღაპრებში
61. კარაქგაცლილი მაწვნის სასმელი
62. ზღაპრული ან ისტორიული შინაარსის სტროფული ლექსი
63. თევზის ძვალი
64. ქვეყანა აზიაში

# სექსი საშიში ყოფილა




ჯანდაცვის მსოფლიოს ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად ჩვენს პლანეტაზე სექსის დროს 50 ათასი ადამიანი იღუპება, მთავარი მიზეზი კი საკუთარი შესაძლებლობების გადაჭარბებული შეფასებაა. აშშ-ს კარდიოლოგიური საზოგადოების მკვლევართა განცხადებით, დაღუპულთა უმრავლესობა (90%) მამაკაცია, ამასთან, მათი 75% სიკვდილის წინ საკუთარ მეუღლეს ღალატობდა. სტატისტიკის მიხედვით, ინტიმური ურთიერთობების დროს იმქვეყნად გასტუმრების შანსი მამაკაცებს 20-ჯერ მეტი აქვთ, ვიდრე სუსტი სქესის წარმომადგენლებს. ასეთ ვითარებაში გარდაცვალების მთავარი მიზეზები ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობას, პირველ რიგში კი, გულსისხლძარღვთა პათოლოგიას უკავშირდება. სიამოვნებას, ძირითადად, საპატიო ასაკის მქონე ადამიანები ვერ უძლებენ. სექსი კი, როგორც ცნობილია, დიდი დატვირთვაა ორგანიზმისთვის. სიკვდილის მიზეზი ხდება, ასევე, მომატებული წნევა, ჭარბი წონა, ნახშირწყლების გაცვლითი პროცესის დარღვევა, ალკოჰოლი, ასევე ვნებისა და ემოციების მოზღვავება. სიკვდილის მიზეზი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ფაქტორები, არამედ გაუფრთხილებლობა. ზოგიერთი ისტორიული წყაროს ცნობით, სექსის დროს გარდაიცვალა ჩინგისხანი, იმპერატორი კარლოს დიდი, ავიცენა და რომის პაპი ლევ VII, აღორძინების ხანის მხატვარი რაფაელი და პარიზის არქიეპისკოპოსი.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

# სასტუმრო საზოგადოებრივ ტუალეტში გახსნა



იაპონიის ქალაქ ოსაკაში ერთ-ერთი პარკის ტუალეტში ამიერიდან შეგიძლიათ მშვიდად და კომფორტულად გაათიოთ ღამე — აქ ეს საზოგადოებრივი დაწესებულება ფეშენებელურ, სასტუმროს ერთოთახიან ნომრადაა გადაქცეული. 22 კვადრატული მეტრის ფართობის მქონე აპარტამენტი შხაპით, საწოლითა და საკუთარი საბაზანო ოთახით კლიენტს დაახლოებით 130 დოლარი დაუჯდება დღეში. სასტუმროს ნომერი პროექტ Osaka Canvas-ის ნაწილია და თანამედროვე მხატვარმა, ნიშინომ მოიფიქრა. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი საპირფარეშო, რომელშიც ოტელია განთავსებული, მოქმედია და იქ ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შესული ადამიანების ხმა სასტუმროს კლიენტსაც ესმის.

# სეირნობა სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს



დღეში ერთის საათით სეირნობა ან ფიზიკური ვარჯიში ადამიანს სიცოცხლეს 4,5 წლით უხანგრძლივებს, — ასეთი მონაცემები ჰარვარდის სამედიცინო სკოლის მკვლევარებმა გამოაქვეყნეს, რომელთაც ექსპერიმენტი ჩაატარეს — მოხალისეები წონის, ასაკისა და ფიზიკური დატვირთვის მიხედვით, ჯგუფებად დაყვეს, მერე მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა შეადარეს და აღმოაჩინეს, რომ თუნდაც მცირე, მაგრამ რეგულარული ფიზიკური დატვირთვისას ადამიანი უფრო დიდხანს ცოცხლობს. ასე მაგალითად, კვირაში ერთხელ 75-წუთიანი გასეირნება 1,8 წლის სიცოცხლეს გვმატებს. ისინი, ვინც სპორტს კვირაში 2,5 საათს უთმობდა, საშუალოდ 3,4 წლით მეტ ხანს ცოცხლობდა, ხოლო ვინც კვირაში 7,5 საათს ვარჯიშობდა, 4,5 წელი ემატებოდა. აღსანიშნავია, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლებს შეუძლიათ გაცილებით დიდხანს იცოცხლონ, თუკი ყოველდღიურად ისეირნებენ.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | | | 4 | 3 | | |
| 1 | | | | | 8 | | | 5 |
| | | 7 | 6 | | | 9 | | 4 |
| | | 2 | | 9 | | 6 | | 3 |
| 3 | | | | | | | | 8 |
| 8 | | 6 | | 1 | | 4 | | |
| 7 | | 5 | | | 9 | 8 | | |
| 6 | | | 1 | | | | | 7 |
| | | 1 | 3 | | | | | 9 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | | 8 | | | | |
| | 6 | 9 | 3 | | | | 7 | 5 |
| 3 | 5 | 8 | | | | | | 1 |
| | 4 | | | | 8 | | | 6 |
| | | | | 5 | | | | |
| 9 | | | 2 | | | | 1 | |
| 6 | | | | | | 7 | 5 | 8 |
| 8 | 7 | | | | 6 | 2 | 4 | |
| | | | | 4 | | | | 3 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 5 | | | 1 | | | | |
| | | | 8 | | | | | |
| | 7 | 6 | 4 | 3 | | | 5 | |
| 3 | 9 | | | | | | 4 | |
| 4 | | 1 | | | | 2 | | 6 |
| | 6 | | | | | | 3 | 5 |
| | 3 | | | 9 | 8 | 5 | 1 | |
| | | | | | 1 | | | |
| | | | | 2 | | | 6 | 3 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | | | | 2 | | | |
| | | 1 | | 6 | | | 3 | |
| | 8 | 6 | | | 3 | | 2 | 7 |
| | 1 | 7 | | | 9 | | | |
| | | 5 | | | | 1 | | |
| | | | 1 | | | 7 | 6 | |
| 3 | 5 | | 6 | | | 9 | 7 | |
| | 7 | | | 5 | | 6 | | |
| | | | 9 | | | | | 8 |

## უსაფრთხო შაქარი შექმნეს



ავსტრიელი სწავლულები ვენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტიდან დიდხანს მუშაობდნენ უსაფრთხო შაქრის მიღების ახალ ტექნოლოგიაზე. შედეგად მიიღეს ერითრიტის — ნატურალური შაქრის შემცვლელის ახლებური ფორმა. როგორც მეცნიერები ამბობენ, ერითრიტი არ იწვევს წონაში მატებას, კარიესს და არანაირად არ მოქმედებს სისხლში შაქრის დონეზე. სხვათა შორის, ამ პრეპარატს დიდი ხანია, აზიაში იყენებენ. მას ტრადიციულად, მაღალტექნოლოგიური დამუშავების გზით აკეთებენ საფუარისგან, თუმცა ავსტრიელმა მკვლევარებმა მისი მიღების უფრო მარტივი და ეკონომიური თვალსაზრისითაც, მომგებიანი საშუალება იპოვეს. აღმოჩნდა, რომ სოკოს ერთ-ერთი სახეობა სპეციფიკურ გავლენას ახდენს შაქრის ლერწმის ქიმიურ ელემენტებზე. მეცნიერებმა სოკოს გენეტიკური მოდიფიცირების მეშვეობით, ერითრიტის საჭირო დონემდე წარმოების რაოდენობა გაზარდეს. ამ გზით მიღებული დამატკბობელი 70-80%-ით შაქრის ეკვივალენტურია. სწავლულებმა უკვე დააპატენტეს ერითრიტის წარმოების ახალი ტექნოლოგია.

## ჩიფსი პატარების ტვინს ვნებს



მკვლევარებმა ჩატარებული ანალიზების საფუძველზე დაამტკიცეს, რომ ჩიფსი განსაკუთრებით საშიში საჭმელია 3-4 წლის ბავშვებისთვის. ამ ასაკობრივ შუალედში თავის ტვინი აქტიურად ვითარდება და ნებისმიერი მავნე საკვები უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვის კოგნიტიურ პროცესებზე მომავალში. ჩიფსის შემადგენლობაშია ნატრიუმის გლუტამატი, ანუ გემოს გამაძალიერებელი და ეს ნივთიერება შეჩვევას იწვევს. გარდა ამისა, ხსენებულ პროდუქტში დიდი რაოდენობით ცხიმები და კანცეროგენებია, რაც მდუღარე ზეთში წვისას წარმოიქმნება. შეჩვევა და მაღალი კალორიულობა კი ფაქტორებია, რომელიც სიმსუქნის, შაქრიანი დიაბეტის განვითარებას სათავეს უდებს. ცნობილია, რომ ეს დაავადებები უშუალოდ უკავშირდება ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებს. სწავლულებმა საკუთარი თეორია დაამტკიცეს კვლევებით, რომელშიც 3-4 წლის ბავშვები მონაწილეობდნენ. აღმოჩნდა, რომ ჩიფსის რეგულარული მოხმარებისას აღქმის პროცესისა და ინფორმაციის დამუშავების სიჩქარე ქვეითდება.

## მარიხუანა კურნავს — სწავლულთა კიდევ ერთი აღმოჩენა




სამედიცინო მიზნით მარიხუანას რეგულარული მოხმარება ხელს უწყობს კრონის დაავადების მძიმე ფორმის განკურნებას. ებრაელი მკვლევარების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ პაციენტთა უმრავლესობამ სრულ რემისიას მიაღწია. კრონის დაავადება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის არასპეციფიკური ანთებითი დაზიანებაა, ხასიათდება ანთებითი კერებისა და ღრმა წყლულების წარმოქმნით, რომელიც რთულდება პერფორაციით, ასევე გარეთა და შიგნითა ფისტულების წარმოქმნით, სისხლდენით. ზუსტი ეტიმოლოგია დადგენილი არ არის, მაგრამ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება გენეტიკურ, ინფექციურ და იმუნოლოგიურ ფაქტორებს. ძირითადი სიმპტომებია: ტკივილი მუცლის არეში, დიარეა, პირღებინება, ცხელება, წონის დაკლება, საერთო სისუსტე. მკურნალობისას გამოიყენებენ კორტიკოსტეროიდებს, იმუნოდეპრესანტებსა და ანტიბიოტიკებს, თუმცა მძიმე გართულებების დროს ხდება ქირურგიული ჩარევაც და დაზიანებული ნაწლავის მოკვეთა. ისრაელის სამედიცინო ცენტრში Meier ჩატარებულ კვლევაში 21 პაციენტი მონაწილეობდა. კვლევის მიზანი მარიხაუანას გავლენის დადგენა იყო კრონის დაავადებაზე. მძიმე ფორმის მქონე პაციენტებიდან 11-ს, რვა კვირის განმავლობაში, ყოველდღე ორ ღერ მარიხუანას აძლევდნენ მოსაწევად, რომელიც 11,5 მგ ტეტრაჰიდროკანაბინოლს შეიცავდა, დანარჩენი პაციენტები კი საკონტროლო ჯგუფში იყვნენ და პლაცებოს იღებდნენ. კვლევების შედეგად გაირკვა, რომ იმ პაციენტებს, რომლებიც მარიხუანას იღებდნენ, აღენიშნათ სრული რემისია, გაუმჯობესდათ მდგომარეობა, სამი მათგანი გათავისუფლდა სტეროიდულ პრეპარატებზე დამოკიდებულებისგან, საკონტროლო ჯგუფში კი მხოლოდ ოთხ პაციენტს აღენიშნა მდგომარეობის უმნიშვნელო გაუმჯობესება. მკვლევართა განცხადებით, მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, აუცილებელია, კვლევები ავადმყოფთა დიდ ჯგუფზე ჩატარდეს.

## ვეგანობა არ ვნებს ნაყოფს?

ავსტრალიელი ლონი ჯეინი საკმაოდ ცნობილი პერსონაა, პოპულარობა კი იმის წყალობით მოიპოვა, რომ თავგამოდებული ვეგანია და აქტიურად ეწევა ცხოვრების საკუთარი სტილის პროპაგანდას. გოგონას ერთი დღის მენიუ მხოლოდ ხილისა და ბოსტნეულისგან შედგება — მას ფეხმძიმობის დროსაც კი არ უღალატია კვების ამ პრინციპისთვის. ლამის მშობიარობამდე მის გვერდს სოციალურ ქსელში დიეტოლოგები და ნუტრიციონისტები „უტევდნენ“, ლონის მომავალი ბავშვის მიმართ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაში ადანაშაულებდნენ და პატარას ათასგვარ პათოლოგიასა თუ თანდაყოლილ დაავადებას უწინასწარმეტყველებდნენ. ვეგანობის მოწინააღმდეგენი ამტკიცებდნენ, რომ ჩანასახის ნორმალური განვითარებისთვის აუცილებელია ცხიმები და ცილები, მაგრამ მომავალი დედა მტკიცედ იცავდა თავის დიეტას ფეხმძიმეებისთვის — მისი ყოველდღიური რაციონი მხოლოდ 20 ბანანი იყო. ორიოდე თვის წინ ჯეინმა სრულიად ჯანმრთელი ბიჭი გააჩინა, კვლავ აგრძელებს ცხოვრების ამგვარ სტილს და აცხადებს, რომ ეს მისი ყოველდღიურობაა. შვილი ჯანმრთელია, მაგრამ თავად? რა მდგომარეობაშია მისი ძვლები, თმა, კბილები. ბავშვი ხომ დედისგან უამრავ კალციუმს წაიღებდა, პროდუქტში ამ ელემენტის არარსებობის გამო? ლონა არაფერს ამბობს საკუთარი იმუნიტეტის შესახებ — რასაც ცილების ნაკლებობა აქვეითებს და პატარას განვითარებასაც ვნებს. შესაძლოა, ავსტრალიელი ვეგანის პროპაგანდას ფეხმძიმეებმა დაუჯერონ და სავსებით დასაშვებია, სხვა ორსულებს ეს რისკი ძვირად დაუჯდეთ.



# 10 თვის ბავშვს გადაუდებელი ოპერაცია სჭირდება

## ბავშვის ახლობლები დახმარებას ჯანდაცვის მინისტრს სთხოვენ

10 თვის ნუგზარ ნონიაშვილი უკვე 6 თვეა რეანიმაციაშია. ექიმებმა მას უმძიმესი დიაგნოზი — სუნთქვის მწვავე უკმარისობა, ბრონქების დაუდგენელი სტენოზი, აპნოე (სუნთქვის შეჩერება) დაუდგინეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უმძიმესია და ყოველდღიურად უარესდება. ბავშვი საზღვარგარეთ მკურნალობას საჭიროებს. ერთი თვის განმავლობაში იმყოფებოდა ხელოვნური სუნთქვის აპარატზე. აპარატიდან მოხსნის შემდეგ, მუდმივად, ჟანგბადის ხელოვნურად მიწოდება ესაჭიროება. მას სასწრაფოდ ესაჭიროება ოპერაცია, რომელიც საქართველოში არ კეთდება. აუცილებელია მისი საზღვარგარეთ გადაყვანა, რისი საშუალებაც ოჯახს არ აქვს და დახმარებისთვის საქართველოს ჯანდაცვის მინისტრსა და ბიზნესმენებს მიმართავს.

10 თვის ნუგზარ ნონიაშვილის დასახმარებლად გახსნილია საბანკო ანგარიში — თიბისი ბანკი 47თ7979645063600023. გიორგი ნონიაშვილი.

## გართობა



1. კაზინოს მუშაკი
2. ალექსანდრე მაკედონელის მეუღლე
3. დეკორატიული ძაღლის ჯიში
4. მიწის, ნიადაგის მყარი ზედაფენა
5. ლექსში გარკვეული წესით გამეორ. ტაეპები
6. ჭიდაობის ერთ-ერთი ილეთი
7. კვერცხისმდებელი ძუძუმწოვარი
8. იგივეა, რაც ვირი
9. დედალოსის „ურჩი“ ვაჟი
10. „ჰამლეტის“ პერსონაჟი
11. გასანათებელი ხელსაწყო
12. საფრანგ. ნაკრების ყოფილი მწვრთნელი
13. წამლის ბურთულა
14. რაიმე საბუთის მეორე პირი
15. საკონდიტრო ნაწარმი
16. ინდოელი მოჭადრაკე, გროსმაისტერი
17. „საბჭოთა ფიზიკის მამა“
18. სპორტული ნაწარმის ფირმა
19. დაბალი ბუსუსები ქსოვილზე
20. ადგილი, სადაც 1195 წელს გაიმართა ბრძოლა ქართველებსა და ირანის აზერბაიჯანელებს შორის
21. შიში გახსნილი სივრცის მიმართ
22. აშშ-ის შტატი ...-აილენდი
23. პატარა ძაღლი, გოშია
24. მახინჯი გოლიათი კელტურ მითოლოგიაში
25. შუამარბი ფეხბურთში
26. ძროხის ნობათი
27. მუნდიალი 2014-ის საუკეთესო გოლკიპერი
28. შვეიცარიის დედაქალაქი
29. დიოხის მეფე
30. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია
31. კათოლიკური წირვა
32. კუკარაჩას ცოლი
33. „ვინი პუჰის“ ავტორი
34. ვაზის სარი
35. პატარა გამოქვაბული კლდეში
36. ღვინით განთქმული ფრანგული ქალაქი
37. წელთაღრიცხვის სისტ. შემომღები კეისარი
38. (კუთხ.) შენობის საძირკველი
39. ნაწლავების გაუვალობა, დამბლა
40. ჩაიკოვსკის ბალეტი „... მზეთუნახავი“
41. მიმართვა ინგლისელი ქალიშვილისადმი
42. ისრაელის სადაზვერვო სამსახური
43. იგივეა, რაც აკუშერი
44. გულანშაროს მეფე ...-სურხავი („ვეფხისტყ.“)
45. უცხიმო ხორცი
46. პარლამენტარი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა)
47. აშშ-ის ტელეპრემია
48. თმის ბუდობრივი ცვენა
49. წყალმარჩხი ბუნებრივი წყლის აუზი
50. მწერალი ჯეიმს ... კუპერი
51. იტალიის ნაკრები ანუ სკუადრა ...
52. უნგრელი კომპოზიტორი
53. ვერდის ოპერა „... მასკარადი“
54. ხმადაბალი დინჯი საუბარი
55. რეჟისორი ... კუროსავა
56. ავტორი რომანისა „წითელი და შავი“
57. არაოფიციალური მაკლერი ბირჟაზე
58. ფრანგი ჩოგბურთელი
59. იგივე ჟარგონი
60. მხარე, მიდამო
61. ცხვრის ნაშიერი
62. იალქნის მისამაგრებელი ძელი გემზე
63. არგენტინელი ფეხბურთელი
64. იზიდას ძმა და მეუღლე
65. უეცარი შიში
66. მაუგლის პითონი
67. დეკორატ. მცენარე
68. კრემიანი ნამცხვარი
69. მოჭადრაკე ... კრამლინგი
70. კოლხი მედეას დედა
71. ტბა აფრიკაში
72. ჩინური ტანვარჯიში
73. ინგლისური სქელი ლუდი
74. მოკრივე ... ტაისონი
75. ყველაზე გრძელი მდინარე ავსტრალიაში
76. მსახიობი ... ნოლტი
77. წელიწადის 1/12
78. დიდი ჩაქუჩი
79. სამკურნალო ბალახი
80. მდინარე ბერლინში
81. მხარე საქართველოში
82. იაპონიის უძველესი რელიგია
83. ჰოლანდიელი ვეტერანი ფეხბურთელი
84. ქართული დასახლება ბამ-ზე
85. იაპონური ელექტრ-ტექნიკური ფირმა
86. მუსიკალური საკრავი
87. სუსტი ქარი, ნიავი
88. კოლხეთის ანტიკური სახელწოდება


ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.